# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 13 ნოემბერი. 2019 წ. №224 (8890) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



## სიყალბით სულის დეგრადირება, ანუ „რეალობის აპათია“ ⑤

„ტვინის ჭყლეტა“ – მოტყუებისთვის...



## „შინდისის გმირებმა“ ვარშავაში გრან პრი აიღო

**ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან პრი დიმიტრი ცინცაძის ფილმს „შინდისს“ გადაეცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, დიმიტრი ცინცაძე საუკეთესო რეჟისორის პრიზით დაჯილდოვდა.

**ფილმი 2008 წლის აგვისტოს ომზეა. 11 აგვისტოს სოფელ შინდისთან რუსეთის სამხედრო ნაწილთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა მეორე ქვეითი ბრიგადის ოცეულის 17 ქართველი ჯარისკაცი. ფილმი გმირი ბიჭების რეალურ ისტორიას ასახავს. ფილმისთვის სცენარი ირაკლი სოლომონაშვილმა დაწერა. აღსანიშნავია, რომ ფილმი საქართველოს კინოცენტრმა ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 92-ე ცერემონიაზე, საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის (იგივე უცხოენოვანი ფილმის) კატეგორიაში წარსადგენად შეარჩია.**

## ნარატივი ოკუპანტისა

## მედუქნეთა სიბრძნე ⑧



## კომპანია მაგთიკომი და ხანის აკადემია: პარტნიორობა საგანმანათლებლო მიზნით ⑦



## გია ვოლსკი: გოშია სხვას ეძახის გოშიას!..

**...ყველაფრის მიუხედავად, პარლამენტში ძალიან საინტერესო დისკუსია გაიმართა. უბრალოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვები ბევრი იყო. ეს მარტო საქართველოში არ ხდება, ჩვენც ვადევნებთ ტელევიზიით თვალყურს. ბოლო დღეებში შეხვედრები მქონდა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, გალიდან გადმოსულ სტუდენტებთან კარგად იცით საკმაოდ საინტერესო პროექტია „წიგნების თარო“ და მოსწავლეებთან. არავის აღარ უკვირს, რომ პარლამენტში შეიძლება, ასეთი დაკა-დაკა მოხდეს, მითუმეტეს თუ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში იგივე სურათს უყურებენ“** , – განაცხადა გია ვოლსკიმ.

თუმცა, ვოლსკის თქმით, „ქართულ დაპირისპირებას გარკვეული სპეციფიკა აქვს“.

**„კერძოდ, აქ დამცირება,ადამიანის ქვემოთ ჩაყვანა ნორმალურად ითვლება. გოშია სხვას ეძახის გოშიას, რეალობის დამახინჯების ინტენსიური მცდელობაა და პროცესი მიდის ისეთი, რომ არ შეიძლება, არ გამოვეხმაურო. თქვენ წარმოიდგინეთ, მიგვიხვდნენ თურმე, რომ ჩვენ არ მოგვწონს პატრიარქს, როცა აგინებენ და ეს იმისთვის გვინდა, რომ რაღაც სხვა საკითხი გადავფაროთ. თურმე ნუ იტყვით და წინწყაროს მელოდიაზე ჩოხაში ჩაცმული ბიჭების სექსის გადაღება შეიძლება, არ მოგწონდეს და ეს თურმე რა ყოფილა, იცით? ჩვენ თურმე ამით, არმოწონების გამო, შეკრულები ვართ იმ ხალხთან, ვინც ქვებს ისვრის, ან ჯვარს იყენებს თავში დასარტყმელ იარაღად. ხომ ყველამ იცის, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ ხშირად თუ გაიმეორებ, შეიძლება, შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ადამიანები, რომლებიც თვითონ გადასულები არიან ყოველგვარ ზღვარს, თითქოს დღეს რაღაც სიმართლის მიმართულებაზე დგანან. მითუმეტეს იმ ხალხის გასაგონად, ვინც საქმის კურსში არ არის და ემოციურად არაა დაკავშირებული იმ პერიოდთან, როცა ესენი ყავარჯნებიანი კაცის სიმბოლოთი იყვნენ წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში. არის კიდევ რამდენიმე საკითხი რომელსაც, ალბათ, ყურადღება უნდა მივაქციოთ. განსაკუთრებით ახალგაზრდებზე ვწუხვარ, ვინმემ მართლა არ დაიჯეროს, რომ ეს უსინათლო, თუ უწყლო სოფლები ახლა შევქმენით და ახლა აღმოცენდა სიცარიელიდან, ხომ დაგვხვდა უამრავი ადამიანი ლოგინს მიჯაჭვული, სიკვდილის სარეცელზე დაწოლილი. უამრავი ადამიანი, ვისაც ღვიძლის კიბო ჰქონდა. დანგრეული გზები, გაზზე აღარ არის ლაპარაკი, დენის გარეშე სოფლები ხომ დაგვხვდა. შეადარეთ სტატისტიკა, ახლა რა მდგომარეობაა და რა მდგომარეობა იყო ადრე. ასეთი გამწარებით, გააფთრებით შემოტევა ემსახურება ერთადერთს, დაძაბულობის ეს ატმოსფერო შენარჩუნდეს და განვითარდეს კიდეც. ნუ ავყვებით ამ სიცრუეს, ვიმუშაოთ“,** – განაცხადა გია ვოლსკიმ.

## ახალი „ტაიფუნი“ საკელწოდებით: „უბედურების კანონი“ ⑥

## რა „მოსალოდნელ უბედურებაზე“ გვაფრთხილებს ზვიად კვაჭანტირაძე?!



„შევაკვდებით და ამას არ დავუშვებთ“

# გედევან ფოფხაძე დაჩი ბერაიას „დაბრიდვით“ ემუქრება!

**საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ დეპუტატები გედევან ფოფხაძე და დაჩი ბერაია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.**

კანონმდებლებს შორის დაპირისპირება გედევან ფოფხაძის გამოსვლას მოჰყვა, რომელიც საპატრიარქოს გარშემო განვითარებულ მოვლენებზე და ხელისუფლების დამოკიდებულებაზე საუბრობდა.

**გედევან ფოფხაძის გამოსვლა ადგილიდან გააპროტესტა დაჩი ბერაიამ, რის საპასუხოდაც გედევან ფოფხაძემ მას სხდომათა დარბაზის გარეთ გასვლა შესთავაზა. ამ რეპლიკის შემდეგ გედევან ფოფხაძემ სხდომა დატოვა და დარბაზში შესვლას მეორე კარიდან ცდილობდა, რისი საშუალებაც მანდატურის სამსახურმა და რამდენიმე დეპუტატმა არ მისცეს.**



**დაჩი ბერაიას და გედევან ფოფხაძეს შორის მცირედი დაპირისპირება კვლავ მოხდა. „დავბრიდავ ამას“,** — მიმართა ფოფხაძემ დაჩი ბერაიას.

# მერაბ ბლადაძემ „პატრიოტთა ალიანსი“ დატოვა

**აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერაბ ბლადაძემ „პარტიოტთა ალიანსი“ დატოვა. მან ამის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.** მისი თქმით, ის საკანონმდებლო ორგანოში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს მუშაობას. დეპუტატმა აღნიშნა, რომ პარტიის დატოვების მიზეზი ლიდერებთან ხედვების შეუთავსებლობაა.



**„ხედვები აჭარას ეხებოდა. ვთვლი, რომ ახალგაზრდები პარტიაში უნდა იყვნენ, ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ საკმარისი რაოდენობით არიან. ასევე მიუღებელია, რომ რეგიონულ ორგანიზაციას თბილისელი ხელმძღვანელობს. პარტიის ლიდერებისთვის ჩემი გადაწყვეტილება მოულოდნელი არ არის“,** — განაცხადა ბლადაძემ.

მერაბ ბლადაძემ 2019 წლის თებერვალში უმაღლეს საბჭოში ზაზა ოქუაშვილი ჩაანაცვლა.

# საპენსიო სქემაში 900 ათასზე მეტი ადამიანია ჩართული

**საპენსიო სქემაში პირველი იანვრიდან დღემდე 923,258 ადამიანი გაწევრიანდა, საიდანაც 746,829 კერძოზე, ხოლო საჯარო სექტორზე 215,676 მოდის. აღსანიშნავია, რომ სისტემაში 59,379 ათასი კერძო ორგანიზაციაა ჩართული. ფონდის ღირებულება 409,507,840-ლარია. შენატანებზე დამატებით დარიცხული სარგებელი 11,163,782 ლარს შეადგენს.**

ამ დროისთვის კომპანიების მიერ შენატანების დეპოზიტურ მოცულობებთან ერთად ფონდის მთლიანი ღირებულება 455,177,604 ლარს შეადგენს. ფონდის ერთეულის ღირებულება საწყისი 10 ლარიდან, 10.48 ლარამდე გაიზარდა, რაც 4.8%-იან ზრდას წარმოადგენს. ფონდის მონაწილეთა რაოდენობა ბოლო თვეებში საშუალოდ დღეში 500-700 მონაწილით იზრდება, ხოლო გასულთა რიცხვი უმნიშვნელოა.

# წამლის საძიებელი სამედიცინო ასოციაციების ვებგვერდზე

**სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებამ საკუთარ ვებგვერდზე წამლის საძიებელი შექმნა, რომლითაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება ბაზარზე არსებულ ბრენდებს შორის ყველაზე იაფი მედიკამენტი მოძებნოს. ამისთვის საკმარისია, საძიებელში წამლის არაპატენტირებული საერთაშორისო დასახელება (ე.წ. გენერიული დასახელება) შეიყვანოს და გაყიდვაში არსებული თითქმის ყველა ბრენდის ფასი გამოჩნდება. აღსანიშნავია, რომ სისტემა აჩვენებს როგორც კოლოფის, ასევე ერთეულის ფასს. ერთეულის ფასი გამოთვლილია ტაბლეტების რაოდენობისა და დოზის გათვალისწინებით. ასევე მითითებულია მწარმოებელი ქვეყანა.**

თავად ფასები არის სავარაუდო და მაქსიმალური ცდომილება არ აღემატება 5-10%-ს. ფასის ცვლილებები პერიოდულად განახლდება. თუმცა როგორც გაერთიანებაში განმარტეს, მთავარი ისაა, რომ სისტემა საშუალებას იძლევა, თვალსაჩინო იყოს ბრენდებს შორის ფასთა განსხვავება , რაც პრაქტიკულად არ იცვლება.

აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე შემადგენლობის წამლებს შორის ფასთა სხვაობა 900-1000% (ათასი)-ით მერყეობს სხვადასხვა ბრენდებს შორის, რაზეც არაერთი კვლევა მეტყველებს . ამ ეტაპზე ეს არის ხელმისაწვდომი ყველასთვის.

# მსოფლიოში ყველაზე იაფი საზოგადოებრივი ტრანსპორტი საქართველოშია!

**ცნობილია 2019 წლის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყველაზე იაფად გადაადგილება საქართველოში, მოლდოვაში, სომხეთსა და აზერბაიჯანშია შესაძლებელი. საშუალო თვიური ღირებულებაა 10, 12, 13 დოლარია. შედარებისთვის, მოსკოვში ყოველთვიური გადასახადი საშუალოდ 31 დოლარია, კიევში — 19 დოლარი, ხოლო ნიუ-იორკში — 121 დოლარი.**

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი დიდ ბრიტანეთშია, იქ სამგზავროს ყოველთვიური გადასახადი 179 დოლარს შეადგენს.

5 წელზე მეტია, ქვეყანას უკონკურენტოდ უკავია პირველი ადგილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასების რეიტინგში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ტრანსპორტის საშუალო ფასები თითქმის ყველა ქვეყანაში საშუალოდ 15-20%-მდე ეცემოდა.

ლიდერობს ასევე იაპონია, სადაც 2014 წლიდან ყოველთვიური გადასახადი 28%-ით გაიზარდა და 2019 წელს თვეში 123 დოლარი შეადგინა.






# როგორ აშანტაჟებდნენ ბადრი პატარკაციშვილს

## „იმედის“ დამფუძნებლის საქმეზე თბილისის პროკურატურამ კუდ-ის ორი ყოფილი თანამშრომელი დააკავა, ერთზე კი ბრალდების დადგენილება გამოიტანა

თბილისის პროკურატურამ სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები დ.ქ. და ი.გ. ბრალდებულად დააკავა, ხოლო მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილის ლ. ქ.-ს მიმართ გამოტანილია დადგენილება მისი ბრალდების შესახებ.

პროკურატურის ცნობით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა:

**„2006 წლის ივნის-ივლისის თვის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ბიზნესმენ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიმართ გააქტიურებულიყო მეთვალყურეობა, გაძლიერებულიყო კონტროლი მის საცხოვრებელ სახლებზე, დაცვასა და მასთან დაახლოებულ პირებზე. აღნიშნული ქმედებები უკავშირდებოდა მის პოლიტიკურ აქტივობას, რაც მიუღებელი იყო იმჟამინდელი ხელისუფლებისთვის და აღიქმებოდა მაღალი რისკის საფრთხედ.**

**2006 წლის ივლის-აგვისტოს თვის პერიოდში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დაიგეგმა ურეკში მდებარე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის საცხოვრებელ სახლზე თავდასხმა, რაც გულისხმობდა სახლის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლებს. ღონისძიება წარმოადგენდა გამაფრთხილებელ აქციას და მიზნად ისახავდა პატარკაციშვილის პოლიტიკური აქტივობის შეწყვეტას. ღონისძიების ჩატარებამდე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ დავალება მიეცა ურეკის პოლიციის იმჟამინდელ უფროსს ჯემალ შამათავას, მორიგე პოლიციის თანამშრომლების ჯგუფები მოეხსნა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სახლიდან. ჯემალ შამათავამ ღონისძიების დაწყებამდე მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა პატარკაციშვილის კომენდანტს და გააფრთხილა მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე. ეს ფაქტი ცნობილი გახდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისთვის.**

**აღნიშნული ქმედების გამო ჯემალ შამათავას დასჯის მიზნით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის — გ.დ.-ს ორგანიზებით შემუშავდა მისი განზრახ უკანონოდ დაკავების გეგმა, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები — ლ.ქ., დ.ქ. და ი.გ.**

**გეგმის რეალიზაციის მიზნით დაბა ურეკში, გ.დ.-ს ნდობით აღჭურვილმა პირმა ბ.ბ.-მ მოახდინა თ.წ.-ს მობილური ტელეფონისა და ძვირფასეულობის ქურდობის ინსცენირება, რის გამოც იგი დააკავეს და მიიყვანეს ურეკის პოლიციის შენობაში, სადაც მან მიიყენა თვითდაზიანება, დაიწვა სხეულზე სიგარეტი და ამ ფაქტის ჩადენაში ამხილა ურეკის პოლიციის უფროსი ჯემალ შამათავა. ასევე დანაშაულის, კერძოდ სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებაში, ჯემალ შამათავა ამხილა თ. წ.-მ.**

**2006 წლის 22 აგვისტოს ჯემალ შამათავა დაიბარეს ქ. ფოთის პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც ასევე მივიდა ლ.ქ. ორ თანმხლებ პირთან ერთად. ლ. ქ.-მ იძულებით წამოიყვანა ჯემალ შამათავა და წარადგინა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში, სადაც იმავე დღეს, გ.დ.-ს ორგანიზებით განხორციელებული ქმედებების და ხელოვნურად შექმნილი გარემოებების საფუძველზე, დაკავებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 144 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამ უკანასკნელს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

**ზემოხსენებულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 147-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ცხრიდან თორმეტ წლამდე ვადით.**

**რაც შეეხება გ.დ.-ს, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, იგი დააკავეს ნიდერლანდების სამეფოში და ამის შემდეგ განხორციელდა მისი ექსტრადირება საქართველოში. შესაბამისად, გ.დ.-ს მიმართ გატარდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროცედურები დევნის დასაწყებად ექსტრადირების განმახორციელებელი ქვეყნის თანხმობის მისაღებად“,** — აცხადებენ პროკურატურაში.

# ემიგრანტების მიერ გადმორიცხულმა თანხამ ინვესტიციებს გადააჭარბა



**2018 წელს საერთაშორისო ფულადი გზავნილები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს თითქმის 200 მილიონით აჭარბებდა. ასეთი რამ საქართველოში არასდროს აღნუსხულა. ეს ორ რამეზე მიუთითებს — ემიგრაციის მაჩვენებელი სულ უფრო იზრდება და ინვესტორების ნდობა საქართველოსადმი — მცირდება.**

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტის — „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილის“ თანახმად, 2015-18 წლებში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო სტაბილური პროცესია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. 2015-2017 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარბებდა ქვეყანაში შემოსულ ფულადი გზავნილების ყოველწლიურ ოდენობას, თუმცა, 2018 წელს სურათი შეიცვალა.

საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებად ქვეყნებში უცხოური ვალუტის შედინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. თუმცა ფაქტს, რომ ფულადი გზავნილები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აჭარბებს, საგანგაშოდ მიიჩნევს ახალი ეკონომიკური სკოლის პრეზიდენტი **პაატა შეშელიძე**.

**„პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შეზღუდული და შემცირებული. საქართველო არ არის ხელგაშლილი ინვესტორების მიმართ და ეს მთავრობის ნებართვის გარეშე იშვიათად ხდება. სასაცილოც კი არის, მაგრამ მე მახსოვს, რომ ეკონომიკის სამინისტროში საგანგებოდ შეიქმნა სპეციალური თანამდებობა, რომელიც აქტიურად იქცა ინვესტიციების მაკონტროლირებელ მექანიზმად. სწორედ ეს არის ამ ყველაფრის შედეგი. აბა, როგორ შეიძლება განვითარებად, ჯანსაღ ქვეყანაში საერთაშორისო ფულადი გზავნილები იყოს უფრო დიდი შემოსავლის წყარო და უცხოური ვალუტის შემოდინების მექანიზმი, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები?**

**საგანგაშო მდგომარეობაა კიდევ ერთი მიმართულებით და კიდევ ერთი მაჩვენებლის მხრივ. ამის შესახებ თავიდანვე ვამბობდი და აშკარა იყო, რომ მთავრობის გააქტიურება ინვესტიციების კონტროლის მიმართულებით, სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა იმ გზაზე დადგომას, რომ უცხოელი ინვესტორი საქართველოში არ უნდა შემოვიდეს“,** — აღნიშნა პაატა შეშელიძემ.

„საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილის“ თანახმად, ბოლო ოთხ წელში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 32%-ით გაიზარდა. ფულადი გზავნილების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში კვლავ რუსეთიდან შემოდის.

ინვესტიციებთან დაკავშირებული ვითარება საგანგაშოდ სულაც არ მიაჩნიათ მთავრობაში. ის კი არა, ვიცე-პრემიერ **მაია ცქიტიშვილს** ჰგონია, რომ შარშან საქართველომ „ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიიღო“. მოგვიანებით, მან ნათქვამი შეასწორე, მაგრამ საინვესტიციო კუთხით რომ პრობლემებია, ეს არც მერე უღიარებია.

**„მე მახსოვს, რომ ჩვენი ინვესტიციების დინამიკა ძალიან პოზიტიურია. ჩვენ თუ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენ ბოლო პერიოდში ნამდვილად გვქონდა კლება ინვესტიციების ნაწილში, ეს არის კლება, რომელიც კონკრეტულ ვადებთანაა დაკავშირებული. ასევე ამას ჰქონდა ახსნა — კონკრეტული საინვესტიციო პროექტების დასრულების ფაზასთან დაკავშირებით, მთლიანობაში ინვესტიციების დინამიკა არის პოზიტიური“,** — განაცხადა ცქიტიშვილმა.

საინვესტიციო კუთხით რომ რთული ვითარებაა, ამას არა მარტო ქართველი ექსპერტები, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც ადასტურებენ, ოღონდ მათი დაკვირვებით, ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ არის. ასეთი ტენდენციაა ბოლო დროს მთელ მსოფლიოში. როგორც საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი **არანჩა გონსალესი** აცხადებს, ნდობა ყველგან შემცირებულია.

**„რეალობა ისაა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ტენდენცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშკარაა. ეს არის იმ ტურბულენტურობის შედეგი, რომელიც დღეს მსოფლიოშია. ვხედავთ შემცირებულ ეკონომიკურ ზრდას, კლებას ვაჭრობაში, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, რაზეც ბევრს არ ვსაუბრობთ. ავიღოთ 2019 წლის პირველი ნახევარი. საერთაშორისო ინვესტიციების მიმართულებით 20%-იანი კლება გვაქვს წინა წელთან შედარებით. ასე რომ, ჩემთვის სიურპრიზი არ არის, რომ საქართველოსაც იგივე პრობლემები აწუხებს, რაც მთელს მსოფლიოს. მიზეზი ისაა, რომ საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან ნდობა შემცირებულია. სწორედ ამიტომ, დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავაბრუნოთ ნდობა და რწმენა ინვესტორებში“,** — განაცხადა არანჩა გონსალესმა.

**ბექა დანელია**

# უძრავი ქონების ბაზარზე ისევ უძრაობაა

**უძრავი ქონების ბაზარზე ისევ და ისევ რთული ვითარებაა. რეალიზაცია ეცემა და შესაბამისად, ფასიც იკლებს. ყველაფრის მიზეზი პოტენციურ მყიდველთა ხელმოკლეობაა, რომლებსაც სესხების შეზღუდვისა და ლარის გაუფასურების პირობებში სულ უფრო უჭირთ ბინის შესაძენად საჭირო თანხის თავმოყრა.**

**„თიბისი კაპიტალმა“ თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების კვლევა განაახლა, როგორც მონაცემებიდან ირკვევა, 2019 წლის მესამე კვარტალში გაყიდვა საგრძნობლად შემცირებულია. 2018 წლის მესამე კვარტალთან შედარებით რეალიზებული ბინების რაოდენობა 11.9%-ით, ხოლო ჯამური ფართი 11.4%-ით არის შემცირებული. მიუხედავად კლებისა, უძრავი ქონების ბაზარზე აქტივობა 2017 წელთან შედარებით, მაინც მაღალია.**

კვლევის მიხედვით, ლარის გაუფასურებამ აშკარა ზეგავლენა მოახდინა უძრავი ქონების მოთხოვნაზე. გაყიდვაზე ასევე იმოქმედა იპოთეკური პორტფელის ზრდის შენელებამ.

**„მესამე კვარტალის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთები ლარში გაიზარდა. თუმცა, ახლა უკვე მოსალოდნელია უცხოურ ვალუტაში იპოთეკური დაკრედიტების ზრდა, რასაც ეროვნული ბანკის მიერ უცხოურ ვალუტაში სესხებზე სარეზერვო მოთხოვნის შემცირება და გაცვლითი კურსის სტაბილიზაცია შეუწყობს ხელს.**

**2019 წლის 9 თვის მანძილზე ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაზე გაცემული ნებართვები წინა წელთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი. სულ გაცემულია 149 ახალი ნებართვა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 40%-ით მეტია.**

**წლის დასაწყისიდან კი საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასები დოლარში 4%-ით არის შემცირებული, ხოლო ლარში 6.6%-ით არის გაზრდილი, რაც ვალუტის გაუფასურებით აიხსნება.**

**„თიბისი კაპიტალის“ მკვლევარები ახლო მომავალში უცხოურ ვალუტაში უძრავი ქონების ფასის კიდე მეტად შემცირებას ვარაუდობენ“,** — აღნიშნულია კვლევაში.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზარი მცირდება და იკლებს ფასიც, მზარდი მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან შეძენილი ბინების ოდენობაა. განსაკუთრებით აქტიურობენ რუსეთის მოქალაქეები. მათგან 15 133-მა ბინა საკუთრებაში დაირეგისტრირა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებმაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში უძრავი ქონება შეიძინეს, ასე გამოიყურება:

**ირანი — 5 598**
**უკრაინა — 2 599**
**ისრაელი — 1634**
**სომხეთი — 1 447**
**თურქეთი — 1 226**
**აზერბაიჯანი — 1 192**
**აშშ — 1 182**

საგულისხმოა, რომ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ბინის რეგისტრაციის შემთხვევები.

სპეციალისტები ადასტურებენ, რომ უძრავი ქონების ბაზარზე ამჟამად არასახარბიელო ვითარებაა. მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ირაკლი როსტომაშვილი** ამბობს, რომ ამ ეტაპზე ყველაფერი ერთ ადგილას არის გაყინული.



**„ქვეყნის უსაფრთხოება, ლარის კურსი და სხვა ფაქტორები, საშინლად ნეგატიურად აისახება უძრავი ქონების გაყიდვაზე. ლარისვარდნაც კი ვერ იქონიებდა გადამწყვეტ გავლენას, ქვეყანაში სტაბილური ვითარება რომ ყოფილიყო.**

**რასაკვირველია, გავლენა იქონია საბანკო რეგულაციებმაც. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ერთმანეთს ემატება და საბოლოო ჯამში გვაძლევს სწორედ ამ შედეგს, რომ უძრავი ქონების ბიზნესი გაჩერებულია“,** — განაცხადა როსტომაშვილმა.

**ეკა ბაქრაძე**




# „ოკუპაციის მივიწყებული მსხვერპლი საქართველოში“

**რომში გამოფენა „ოკუპაციის მივიწყებული მსხვერპლი საქართველოში“ ოფიციალურად გაიხსნა, რომელზეც 90-იანი წლებიდან დღემდე, სხვადასხვა პერიოდში გადაღებული ქართველი და უცხოელი ფოტორეპორტიორების ნამუშევრებია წარმოდგენილი.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფოტოისტორია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან სხვადასხვა პერიოდში დევნილი მოსახლეობის ტრაგედიას და ამჟამინდელ მდგომარეობას ასახავს.

**გამოფენის გახსნაზე მოწვეულ იტალიელ სტუმრებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა საქართველოს ელჩმა იტალიაში კონსტანტინე სურგულაძემ, რომელმაც მათ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე მიაწოდა ინფორმაცია.**

**გამოფენაზე გამოყენებულია ცნობილი ბრიტანელი ფოტოგრაფების ჯონ ჯონსისა და მალქომ ლინტონის, ასევე, შახ აივაზოვის, გოგი შარაშენიძის, ლელი ბლაგონრავოვასა და გიორგი აბდალაძის ნამუშევრები. გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილია ქართველი ფოტოგრაფის თაკო რობაქიძის ვიდეორგოლი „მცოცავი ოკუპაცია“.**



# ნატოში ინტეგრაციის შემოთავაზებული კონცეფცია: რატომ დუმს თბილისი?

**საქართველოს ნატოში ინტეგრაციის დაჩქარების მიზნით ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა ახლახან შეიმუშავეს კონცეფცია, რომელიც ჯერ „HERITAGE FOUNDATION“-ის მკვლევარმა ლუკ კოფმა გააჟღერა, ხოლო შემდეგ — ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.**

როგორც „აქცენტთან“ საუბრისას მისი ერთ-ერთი თანაავტორი — **„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ ვიცე-პრეზიდენტი ბათუ ქუთელია** განმარტავს, კონცეფცია შედგება ორი კომპონენტისგან: პირველი — ეს არის ორ ტერიტორიულ ნაწილად გაყოფილი ქვეყნის შესვლა ნატოში (გერმანიის მოდელი), მეორე დაშვება კი ნატოს წესდების მეხუთე მუხლის არგავრცელების პრეცედენტის გამოყენებაა (ამის მაგალითია ჰავაის და ფოლკლენდის ქეისები). კონცეფცია ამ ორი კომპონენტის კომბინაციას მოიცავს და ამასთანავე, ემატება დათქმა, რომ მეხუთე მუხლის არგავრცელება იქნება მანამ, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანი გზით არ აღდგება.

**რა პოზიცია აქვს ამ საკითხზე ოფიციალურ თბილისს? განიხილება თუ არა, ან აპირებს თუ არა ხსენებული კონცეფციის განხილვას საქართველოს ხელისუფლება? — საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვნად პასუხს არ იძლევა და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „მსგავსი საკითხის განხილვის დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მოხდება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის სრული დაცვით“.**

**„მსგავსი საკითხის განხილვის დროს ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი, პირველ რიგში — ის, რომ ამ საკითხზე თავად ნატოს შიგნით იქნას მიღწეული კონსენსუსი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება მოხდება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის სრული დაცვით“,** — განუცხადეს „აქცენტს“ საგარეო პოლიტიკურ უწყებაში.

ამასთან, სამინისტროში კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ალიანსის მხარდაჭერა საქართველოს ნატოში გაწევრიანების კუთხით ურყევია.

**„ალიანსი ყოველთვის მკაფიოდ აფიქსირებს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, უარი თქვას საქართველოს რეგიონების ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებაზე და გაიყვანოს შეიარაღებული ძალები საქართველოს ტერიტორიიდან. ეს გზავნილები უცვლელად აისახება უკანასკნელი წლების განმავლობაში ნატოს მიერ მიღებულ ნებისმიერ კომუნიკესა თუ დეკლარაციაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. აღნიშნული გადაწყვეტილება წლების მანძილზე მეორდება ნატოს ყველა ოფიციალურ დოკუმენტში“.**

საექსპერტო წრეები კი ხელისუფლებას ამ მხრივ გააქტიურებას ურჩევენ. **საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი** მიიჩნევს, რომ ხსენებული კონცეფცია შესაბამისი ქართული სტრუქტურების მხრიდან განხილვის საგანი უნდა გახდეს და თუ საჭირო იქნება, ქვეყანა არაორდინარულ ნაბიჯებზეც უნდა წავიდეს.

**— ვფიქრობ, იმისათვის, რომ ჩვენი სტრატეგიული მიზნის რეალიზაცია მოხდეს, საკმაოდ არაორდინარულ ნაბიჯებზეც უნდა წავიდეთ, მათ შორის — ამგვარზე, თუკი დავინახავთ, რომ ეს რეალური შედეგის მომტანია. რამდენად განხორციელებადია ეს გეგმა? — ამის მტკიცება გამიჭირდება, მაგრამ არ ვთვლი, რომ ეს არარეალისტურია. საკმარისად რეალისტურად მეჩვენება და ეს ოფცია არ უნდა დავკარგოთ, არ უნდა დავივიწყოთ. გასაგებია, რომ ეს არ არის ადვილად მისაღები. აბსოლუტურად სწორი იყო ყოფილი გენმდივნის განცხადება, როცა ბრძანა, „ეს სერიოზული განსჯის საგანი უნდა იყოსო“. ვფიქრობ, არავის აქვს უფლება, ისეთ მტკივნეულ საკითხს შეეხოს, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის თემა. ბუნებრივია, რომ აქ საზოგადოების ძალიან სერიოზული მხარდაჭერა იქნება საჭირო,** — განაცხადა „აქცენტთან“ საუბრისას მენაღარიშვილმა.

ამასთან, მისივე თქმით, ინიციატივა, რომელიც ლუკ კოფიმ გააჟღერა, პირველად საქართველოში დაიბადა:

**— პირველად ამის შესახებ საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ერთ-ერთ ღონისძიებაზე მოვისმინე. ეს გახლავთ ქართული მხარის წარმომადგენლების მიერ შექმნილ სიტუაციაში გამოსავლის ძიების პროცესის პროდუქტი. შემდეგ ბატონმა კოფიმ ეს წინადადება სერიოზულად გაიაზრა და ჩათვალა, რომ მისი გამოყენების პერსპექტივების თვალსაზრისით გარკვეული რეზიუმე არსებობს. მას ამ წინადადებაზე, სამწუხაროდ, ქოქოლა აყარეს რიგმა ქართველებმა, ჩვენ ცოტა გვიჭირს ხოლმე პარტნიორის მოსმენა, ერთი ხმაური ატყდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად უსაფუძვლოდ.**

კითხვაზე, მისი ინფორმაციით, ხომ არ მუშაობს მთავრობა კოფის მიერ გაჟღერებული კონცეფციის მიმართულებით, მენაღარიშვილმა თქვა:

როგორც ვიცი, ამის მსგავსი ჯერჯერობით არაფერი ხდება. რაიმე მინიშნება იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი ვინმესთან კონსულტაციის თემა ყოფილიყო და ა.შ., სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უცნობია.

**უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი გიორგი გობრონიძე** ასევე არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, მიმდინარეობს თუ არა ამ კონცეფციაზე მუშაობა ხელისუფლებაში, თუმცა მიაჩნია, რომ მუშაობა აუცილებელია. ამასთან, მისი აზრით, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლების მხრიდან ამაზე ღია, საჯარო განცხადებების კეთება არ უნდა მოხდეს.

**ამაზე ღიად საუბარი არ არის მიზანშეწონილი რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი — საზოგადოებას არ უნდა გაუჩნდეს ცრუ მოლოდინი (გვახსოვს, ბუქარესტის სამიტის შემდეგ საზოგადოებას დარჩა ცრუ მოლოდინი და დიდი იყო იმედგაცრუება); მეორე: პოტენციური მოდელის შემუშავებაზე განცხადების საჯარო სივრცეში გამოტანას აუცილებლად მოჰყვება ხელის შეშლის მცდელობა იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომელთაც ჩვენი ნატოში გაწევრიანება არ სურთ. ამგვარად, ძალზე მნიშვნელოვანია, მიმდინარეობდეს მუშაობა, რათა, როცა ჩვენც და ალიანსიც მზად ვიქნებით წევრობისთვის, უკვე შემუშავებული მოდელები დავდოთ მაგიდაზე“** — განუცხადა „აქცენტს“ გობრონიძემ.

# რამდენიმე ოლიგარქის ყოლა სჯობს ერთისას?!

## „ცხადია, რუსეთს ჰყავს თავისი ფავორიტები, ვის გამარჯვებასაც ისურვებდა საქართველოს არჩევნებში“



**მან იცის, რის გამო აინტერესებს საქართველო და რით შეუძლია დაეხმაროს ამ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას. ფრენსის ფუკუიამა, სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრის დირექტორი გასულ კვირაში სტუმრობდა საქართველოს. „რადიო თავისუფლებამ“ მასთან ინტერვიუ ჩაწერა თბილისში, „დემოკრატიის ფრონტისპირა ცენტრის“ ოფისში, რომელიც ერთი წლის წინათ ფრენსის ფუკუიამას ინიციატივით დაარსდა. ინტერვიუში ის ამ ცენტრისა და „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან“ (EPRC) ერთად მისი კიდევ ერთი — უფრო ადრინდელი იდეის — „ლიდერობის აკადემია განვითარებისთვის“ (LAD) შესახებაც ლაპარაკობს. ფრენსის ფუკუიამამ თბილისში რამდენიმე ლექცია წაიკითხა. 4 ნოემბერს კი მოეწყო ფრენსის ფუკუიამასა და ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტის უფროსი მკვლევრის დევიდ კრამერის საჯარო დისკუსია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამერიკელ პროფესორთან საუბარი სწორედ ამ ლექციაზე მის მიერ ნათქვამი ფრაზით იწყება:**

**„რადიო თავისუფლება“: ბატონო ფუკუიამა, გუშინ თქვით, რომ ტრამპის საგარეო პოლიტიკა არ არის იგივე, რაც აშშ-ის საგარეო პოლიტიკა. მაშინ, დაგისვამთ შეკითხვას: როგორ განსხვავდება დღის წესრიგები და სად არის საქართველოს ადგილი თითოეულში?**

**ფრენსის ფუკუიამა:** როცა ეს ვთქვი, ვიგულისხმე ის, რომ კონგრესსა და აშშ-ის ბიუროკრატიაშიც არის ფართო კონსენსუსი, რომ რუსეთი არის აშშ-ის სტრატეგიული მტერი და აშშ-მა უნდა დაიცვას საქართველოსა და უკრაინის მსგავსი დემოკრატიული ქვეყნები. როგორც ჩანს, ტრამპს განსხვავებული მოსაზრება აქვს. მას არ მოსწონს უკრაინა. როგორც ეტყობა, ნამდვილად მოსწონს ბატონი პუტინი და არ მოსწონს თავისი დემოკრატი კოლეგები, როგორებიც არიან ანგელა მერკელი და ემანუელ მაკრონი ან დემოკრატიული ქვეყნების სხვა ლიდერები. აქამდე რეალურად მთავრობა განსაზღვრავს პოლიტიკას მსოფლიოს ამ ნაწილის მიმართ და ტრამპის მიერ პუტინისა და რუსეთისთვის უპირატესობის მინიჭების მიუხედავად, ეს არ ასახულა აშშ-ის მთავრობის რეალურ პოლიტიკაზე. მაგალითად, აშშ-ის მთავრობამ ტრამპის მმართველობის პერიოდში სამხედრო დახმარება გაუწია უკრაინას. თუმცა, ბოლო ხანს ვხედავთ, რომ ტრამპი დიდწილად იკრებს პოლიტიკაზე ზეგავლენას და ის აშკარად ცდილობდა, გამოეყენებინა უკრაინა საკუთარი საარჩევნო პერსპექტივის გასაძლიერებლად. სწორედ ამას ეხება იმპიჩმენტზე დაწყებული გამოძიება. ეს არის, სინამდვილეში, რაც ვიცით ამ დიდ კონფლიქტზე დემოკრატების მიერ კონტროლირებულ წარმომადგენელთა პალატასა და ტრამპის ადმინისტრაციას შორის.

**— აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ის დიდწილად აღქმულია, როგორც საქართველოს უსაფრთხოების გარანტორი. ვიცით, რომ აშშ არის საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ძლიერი მხარდამჭერი. რა შეუწყობდა ხელს ამ პროცესის გააქტიურებას — საქართველოს მხრიდან და აშშ-ის მთავრობის მხრიდან?**

— ვფიქრობ, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ნატოში შესვლის პერსპექტივა საკმაოდ დაბალია, რადგან მე-5 მუხლის გარანტიის საქართველოსთვის მინიჭება მართლაც ძალიან რთული იყო, რუსეთის სიახლოვისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტის გათვალისწინებით. არ ვარ დარწმუნებული, რომ არსებობს ალტერნატიული პოლიტიკა, რომელიც დააჩქარებდა ნატოში შესვლას. რა გარანტიებზეც უნდა ვილაპარაკოთ, ცოტათი უფრო არაფორმალური ხასიათის იქნება, ვფიქრობ.

**— დროის სიმცირის გამო, სხვადასხვა საკითხზე გადახტომა მიწევს... თქვენ თქვით, და ეს ნათქვამი ხუმრობას სცდებოდა, რომ რამდენიმე ოლიგარქის ყოლა სჯობს ერთისას. რა პრობლემას ქმნის ერთი, რომელიც საქართველოშია?**

— ვფიქრობ, ოლიგარქიულ ძალაუფლებასთან დაკავშირებული პრობლემა მსგავსია ყველა ქვეყანაში — ისინი ფლობენ სიმდიდრეს და შეუძლიათ, ეს სიმდიდრე გამოიყენონ იმისთვის, რომ იყიდონ პოლიტიკური ზეგავლენა, მაგრამ ის არ არის დემოკრატიულად ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე. ამდენად, ადამიანებმა რეალურად არ იციან, როგორ გამოიყენება ეს ზეგავლენა. მათ არ გააჩნიათ ბერკეტი, რომ ის ამყოფონ ანგარიშვალდებული, რადგან ოლიგარქი არ არის ყოველთვის არჩეული პირი და მას არჩევნების გზით ვერ დაატოვებინებ თანამდებობას. ვფიქრობ, ეს აკნინებს დემოკრატიას.

**— რამდენიმე ოლიგარქი რატომ არის უკეთესი?**

— ვფიქრობ, უკრაინაში სხვადასხვა ოლიგარქს სხვადასხვა ინტერესი აქვს. ზოგჯერ ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. მაგალითად, ისინი აკონტროლებენ სხვადასხვა ტელეარხს და ხშირად კონკურენციას მივყავართ გამჭვირვალობის გარკვეულ ხარისხამდე, რადგან მათი ინტერესები განსხვავებულია.

იხ. 7 გვ.

# სიყალბით სულის დეგრადირება, ანუ „რეალობის აპათია“

## ახლა ვიდეოს გაყალბებაც შესაძლებელია – არის თუ არა DEEPFAKE საფრთხე დემოკრატიისთვის?!

**DEEPFAKE – ასეთი ტერმინი შეუსაბამეს დასავლეთში გაყალბებულ ვიდეოს, რომელზე გამოსახულ ადამიანსაც არასდროს უთქვამს ის, რაც ვიდეოში ჩანს.**

**დიფფეიქი დეზინფორმაციის ახალი ფორმაა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ფეხს უფრო და უფრო მყარად იკიდებს. 2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ბოლო 9 თვეში deepfake ვიდეოების რიცხვი გაორმაგებულია.**

**დღეს ინტერნეტმა ადამიანების ინფორმირება ადვილი და ხელმისაწვდომი გახადა, თუმცა, ამავდროულად, გართულდა ნამდვილი და ცრუ ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა და მისი კონტროლი.**

**დეზინფორმაციის გასავრცელებლად ყალბი ახალი ამბები, ყალბი ფოტოები, მანიპულაციური ფოტოები გამოიყენება.**

**თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიცვალა ყალბი ამბების გავრცელების გზებიც. თუ ამ დრომდე ამისთვის მხოლოდ ახალი ამბები, ყალბი და მანიპულაციური ფოტოები გამოიყენებოდა, დღეს ვიდეოინტერვიუს გაყალბებაც შესაძლებელია.**

**ლიბერალური დემოკრატია ინფორმირებულ მოქალაქეს ემყარება...**

**ექსპერტები ამბობენ, რომ deepfake დემოკრატიისთვის საფრთხეა, ვინაიდან, დემოკრატია მაშინ მუშაობს, როცა ადამიანებს მისი სჯერათ.**



### რა არის DEEPFAKE?

**ამ ტერმინს და მის მიღმა შინაარსს ასე ხსნიან – სინთეზირებული კონტენტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით არის შექმნილი**

ახლა ვიდეოების გაყალბებაც შესაძლებელია – თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით შეგიძლია, ნებისმიერ ადამიანს „ათქმევინო“ ის, რაც მათ სინამდვილეში არასდროს უთქვამთ.

ამ ვიდეოში ფეისბუქის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი ამბობს, რომ „ის, ვინც აკონტროლებს მონაცემებს, აკონტროლებს მომავალს“.

„ერთი ადამიანი, რომელსაც მილიონობით ადამიანის მოპარული მონაცემები აქვს – მათი საიდუმლოებები, მათი ცხოვრება, მათი მომავალი – მე Spectre-ის წინაშე ვარ ვალდებული. მან მაჩვენა, რომ, ვინც აკონტროლებს მონაცემებს, აკონტროლებს მომავალს“.

წარსულში მსგავსი ყალბი შედეგის მისაღებად გაცილებით დიდი სპეციალური ცოდნა და ოსტატობა იყო საჭირო, დღეს კი ამისთვის რამდენიმე ფოტო და ინტერნეტთან კავშირიც საკმარისია.

Deepfake ტექნოლოგიით ადვილად შესაძლებელია არა მხოლოდ ყალბი ინტერვიუს, არამედ, მაგალითად, ყალბი პორნოგრაფიული ვიდეოს შექმნა, რაც შესაძლოა, კონკრეტული ადამიანების, მათ შორის პოლიტიკოსების საბოტაჟისთვის იქნას გამოყენებული.

დემოკრატების სპიკერის **ნენსი ფელოსის ინტერვიუ** – მისი გამოსვლის ყალბი ვიდეო უბრალოდ შენელებულია, თუმცა, სოციალური ქსელების ათასობით მომხმარებელმა დაიჯერა, რომ ინტერვიუს დროს ის ნასვამი იყო. ამიტომ ეს ვიდეოც დიფფეიქად იქნა მიჩნეული.

„დიფფეიქი“ კიდევ უფრო ართულებს ყალბის და ნამდვილის გარჩევას. შესაძლოა, არც რეალობა დაიჯერო. და თუ მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალებით ხილვა არ ნიშნავს სინამდვილეს, ჩნდება კითხვა – შეიძლება თუ არა, deepfake-მა დემოკრატია შეასუსტოს?

ყალბ, დიფფეიქ ვიდეოში **კიმ კარდაშიანი** ამბობს, რომ „ძალიან უყვარს მანიპულირების პროცესი“.

**„როცა ამდენ ადამიანს ვძულვარ, რეალურად, ამაზე არ ვდარდობ, იმიტომ, რომ რეალურად მათ გამხადეს იმაზე მდიდარი, ვიდრე ყველაზე ველურ ოცნებაში წარმოვიდგენდი. ჩემმა გადაწყვეტილებამ, დამეჯერებინა Spectre-სთვის, მომცა რეიტინგი და ფანები. თავს იღბლიანად ვგრძნობ, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს მანიპულირების პროცესი“,** – ამბობს კიმ კარდაშიანი.

**ბილ პოსტერსი** ერთ-ერთია, ვინც deepfake ვიდეოების უკან დგას თავისი პროექტით, სახელწოდებით Spectre Project.

როგორც პოსტერსმა თქვა, მან ყალბი ვიდეოები ინსტაგრამზე ფეისბუქის რეაქციის შესამოწმებლად გამოაქვეყნა. სოციალური მედიის პლატფორმა ინსტაგრამს სწორედ ფეისბუქი ფლობს.

ალგორითმმა ყალბ ვიდეოებზე მომხმარებლების წვდომა შეამცირა, თუმცა, ვიდეოების ვირუსულად გავრცელებას ხელი ვერ შეუშალა. ამ ფაქტმა deepfake-ების გზით დეზინფორმაციის გავრცელების პოტენციური საფრთხე გამოავლინა, რომელიც მზარდია მანამ, სანამ ტექნოლოგიურმა კომპანიებმა და პოლიტიკოსებმა არ იციან, როგორ ებრძოლონ მას.

ავტორიტარული რეჟიმები უკვე დიდი ხანია, დეზინფორმაციის გასავრცელებლად ფოტო მანიპულაციებს იყენებენ. ჯერ კიდევ **იოსებ სტალინი** ახერხებდა, ფოტოებიდან თავისი




მტრები გაექრო. ახლა კი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია, მაგალითად, კომედიანტი **ბილ ჰეიდერი ტომ კრუზად** იქცეს.

ექსპერტების თქმით, შესაძლოა, დიფფეიქები დემოკრატიულ ქვეყნებში ამომრჩევლის შეცდომაში შესაყვანადაც იქნას გამოყენებული.

**დასავლეთში ექსპერტები მედიის კრიზისზე საუბრობენ, კერძოდ იმაზე, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ამბობს უარს, გაეცნოს ახალ ამბებს, ვინაიდან ისინი „ზედმეტად უსიამოვნო და ცუდია“. მიუხედავად ამისა, არაინფორმირებული ადამიანები მაინც მონაწილეობენ არჩევნებში, რაც, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტში ულტრამემარჯვენე ძალების შესვლით სრულდებოდეს – ასეთი პარტიები სწორედ ლიბერალური დემოკრატიის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ.**

**ავივ ოვადია** Thoughtful Technology Project-ის დამფუძნებელია. „ეკონომისტთან“ ის ყურადღებას სხვა პრობლემაზე ამახვილებს – მისი თქმით, შესაძლოა, დიფფეიქები პოლიტიკოსებმა თავიანთი დანაშაულების დასაფარად გამოიყენონ. ოვადია შიშობს, რომ ამის გამო დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტი ადამიანი იტყვის უარს დემოკრატიულ პოლიტიკაზე.

ექსპერტი ამ ფენომენს **„რეალობის აპათიას“** უწოდებს.

**„შეიძლება, კორუმპირებულმა პოლიტიკოსმა თქვას, რომ მისი ესა თუ ის ინტერვიუ გაყალბებულია და კონკრეტული რამ არასდროს უთქვამს. ეს მიგვიყვანს ისეთ საზოგადოებამდე, როცა ადამიანებს არ ეცოდინებათ, რა დაიჯერონ. რეალობის აპათია არის ის, რომ იმდენად ძნელი იქნება გარკვევა, თუ რა ხდება, რომ მოქალაქეები უბრალოდ დანებდებიან. დემოკრატია არ მუშაობს, თუ ადამიანებს მისი არ სჯერათ“.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიჩნევენ, რომ deepfake ვიდეოები 2020 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ერთ-ერთი მთავარი საფრთხე იქნება. შესაბამისი კვლევა ნიუ იორკის უნივერსიტეტმაც გამოაქვეყნა. რამდენიმე შტატმა, მათ შორის კალიფორნიამ და ტეხასმა კი მიიღეს კანონები, რომლითაც დიფფეიქ ვიდეოები არალეგალური ხდება მაშინ, როცა ისინი არჩევნებში ჩარევისთვის გამოიყენება.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დიფფეიქს კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენებენ, მაგალითად, „სხვა სახელმწიფოები, რომლებსაც აშშ-ში დესტაბილიზაცია სურთ“. გავრცელდება ვიდეოები, როცა კანდიდატი ამბობს იმას, რაც რეალურად არ უთქვამს და ეს მისი კონკურენტის სასარგებლოდ იმუშავებს.

საუბრობენ საფრთხეზეც, რომ გავრცელდეს სხვა ქვეყნის ლიდერების ან ორგანიზაციების ხელმძღვანელების ყალბი განცხადებები, რამაც შესაძლოა, თუნდაც მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ მაინც, პრობლემები შექმნას ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის კუთხით.

დიფფეიქების წინააღმდეგ საბრძოლველად ბევრი საშუალება არ არსებობს. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი ან ორგანიზაცია გამოსავლის მოძებნას ცდილობს. მაგალითად, კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა კომპიუტერული თამაში შექმნა, რომელიც ადამიანებს დეზინფორმაციის აღმოჩენას ასწავლის.

დოქტორ **სანდერ ვან დერ ლინდენს,** რომელიც თამაშების დიზაინერია, სჯერა, რომ ეს ადამიანებს ფაქტების და სიყალბის ერთმანეთისგან გარჩევაში დაეხმარება.

მოთამაშე ყალბი ნიუსის პროდიუსერის როლში იქნება და ეცდება, ააშენოს იმპერია დეზინფორმაციის გავრცელებით. დოქტორი ვან დერ ლინდერი ფიქრობს, რომ ეს ადამიანებს დაეხმარება, დეზინფორმაცია რეალურისგან გაარჩიონ. თამაშის მიხედვით, ადამიანები შეძლებენ, ყალბი ამბების წინააღმდეგ მენტალური ანტისხეულები გამოიმუშაონ.

**ფეისბუქის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა თავის მხრივ პირობა დადო, რომ ხელოვნური ინტელექტი მომხმარებლებს ყალბი ინფორმაციის გამოვლენაში დაგვეხმარება. კომპანიამ უკვე გამოყო 10 მილიონი დოლარი და დაიწყო მაიკროსოფტთან თანამშრომლობა, რათა ფეისბუქზე დიფფეიქ ვიდეოს ამომცნობი გაჩნდეს.**

**კიდევ ერთმა მსხვილი სოციალური ქსელის – ტვიტერის ხელმძღვანელებმა ასევე განაცხადეს, რომ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობენ.**

**გუგლმა კი გასულ წელს ჩაუშვა ყალბი აუდიოს ამომცნობი დეტექტორი. ყალბი ვიდეოს შესახებ გუგლს განცხადება არ გაუკეთებია.**






https://www.mythdetector.ge

# ახალი „ტაიფუნი“ სახელწოდებით: „უბედურების კანონი“

## რა „მოსალოდნელ უბედურებაზე“ გვაფრთხილებს ზვიად კვაჭანტირაძე?!



„შევაკვდებით და ამას არ დავუშვებთ“

**„მომავალ კვირაში ყველას დავანახვებთ, კიდევ რას გეგმავს ხელისუფლება და რა უბედურების კანონის მიღებას აპირებს სასწრაფოდ. მარიხუანას პლანტაციები ამასთან შედარებით არაფრად მოგვეჩვენება!“ — წერს სოციალურ ქსელში საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის დიასპორებთან ურთიერთობის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე „ქართული ოცნებიდან“, ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე.**

გაფრთხილებისთვის მადლობა, მაგრამ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ღიად ეთქვა რა „უბედურების მომტან“ კანონზეა ამჯერად საუბარი, რომ ჩვენც კომბლებმომარჯვებულნი მივიჭრათ პარლამენტთან და ხელისუფლებას ეს მზაკვრული ჩანაფიქრი ჩავუშალოთ!

თუ „მარიხუანას პლანტაციები ამასთან შედარებით არაფრად მოგვეჩვენება“, ნიშნავს, რომ, „და ჩვენ ვიცეკვებთ“ ფილმის თბილისისა და ბათუმის კინოთეატრებში ჩვენება და ამ სიბილწის ჩვენებისგან გამომდინარე საზოგადოების გარკვეული ნაწილის ვნებათაღელვა, მხოლოდ სურათი ყოფილა. „ნამდვილ“ ფილმს კი მომავალ კვირაში უნდა ველოდოთ!

ნამდვილად ვერ მოვუწონებ ბატონ ზვიადს „მოსალოდნელი უბედურების“ ინკოგნიტოდ დატოვებას.თუმცა, მის სტატუსში ეს არ არის მთავარი. იგი ხელისუფლებას საყვედურობს, რომ თუ ადრე „მიშა მოვას“ ძახილით აშინებდა ხალხს, ახლა ულტრანაციონალისტები მიუსია და ამით უნდა გაძვრეს მომავალ არჩევნებში.

ბატონი პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ პირველსავე არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ჩამოშორდება ხელისუფლებას — **„ეს იქნება ხელისუფლების ცვლილების არჩევნები, რადგან, ეს გადაწყვეტილება ხალხს უკვე აქვს მიღებული“!**

მე არ ვიცი, რა ძალებზე დაყრდნობით აპირებს ბატონი ზვიადი ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ, „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო“, გამოთქმისა არ იყოს, არ მესმის, როგორ უნდა ელოდოს იგივე ხალხი, რომელმაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების გადაწყვეტილება მიიღო, იმ საბედისწერო კანონის მიღებას იობის სიმშვიდით, მომავალ კვირაში რომ აპირებს თურმე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება?! ან რა გარანტია გვაქვს, რომ 2020-ში „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად ჩავანაცვლებთ პატრიოტი, ქართული სულისკვეთების ხელისუფლებით, რომელიც მომავალ კვირაში მისაღებ „უბედურების კანონს“ და სხვა ანტიქართულ კანონებსაც, რომელზეც ბატონ ზვიადსაც ექნება ხელი აწეული, ერთდროულად გააუქმებს?!

ჩვენ ასეთი ზღაპრებით, რომ მომავალ არჩევნებში ქართული პატრიოტული ძალები გაიმარჯვებენ და ყველაფერი კარგად იქნება, დიდი ხანია, გვკვებავენ, მაგრამ, ყოველთვის მოტყუებული ვრჩებით — „უბედურების მომტან“ კანონებსაც გრიალ-გრიალით იღებენ და საქართველოს მოღალატეებიც (ამ კანონების შემოქმედნი) დღემდე დაუსჯელნი რჩებიან!!!

მე არ ვიცი, რა კანონზეა ამჯერად საუბარი, მაგრამ, იმაში ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი განწყობით იმ „უბედურების კანონს“ უპრობლემოდ მიიღებენ და შემდგომ ჩვენი აღშფოთება თუ ცარიელი მუშტის ქნევა უკან მიდევნებული ლამპრის ფუნქციას შეასრულებს!

აქედან დასკვნა მარტივია: ვიდრე ამ ანტიქართულ კანონს მიიღებენ, მანამდე უნდა აღდგეს მთელი საქართველო და ერთხელ მაინც აჩვენოს მართლმადიდებლობის (ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტრებს) და დანარჩენ სამყაროს, რომ ჯერ კიდევ ვსუნთქავთ და ღირსების გრძნობაც ბოლომდე არ დაგვიკარგავს!

ბატონი ზვიად კვაჭანტირაძის ზემოხსენებულ სტატუსში საყურადღებოა ერთი დეტალიც. საქმე ეხება საქართველოს მოსალოდნელ გადასვლას სხვა პოლიტიკურ ორბიტაზე, რომელიც, თუ სწორად გავიგე, დღევანდელი ხელისუფლების ჩანაფიქრი ყოფილა.

საკამათო არ არის „სხვა ორბიტაში“ რუსეთი იგულისხმება. მე არ ვიცი, რამდენად აპირებს „ქართული ოცნება“ საქართველოს რუსულ ორბიტაზე გადაყვანას და ვინ შეუშლის ხელს (ბატონი ზვიადის სიტყვები: **„შევაკვდებით და ამას არ დავუშვებთ“,** ზედმეტად ემოციური მგონია.ისე, საინტერესოა, ვინ იგულისხმება „ჩვენში“), ეს არ გააკეთოს, მაგრამ, მიჩნდება ერთი ლოგიკური კითხვა: რა პოლიტიკურ ორბიტაზეა დღეს საქართველო და რა მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ისევ რუსულ ორბიტას დავუბრუნდებით?!

ეს კითხვა მითუმეტეს აქტუალურია ბატონი ზვიადის სიტყვებიდან გამომდინარე, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: თუ ეს ზემოთ გადაწყვეტილია, ჩვენ არავინ გვეკითხება. თუ არავინ გვეკითხება და არც იმის უნარი და ძალა არა გვაქვს — ხელი შევუშალოთ მავანს და მავანს საქართველოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნებაში, მაშინ საერთოდ რატომ ვიშლით ნერვებს?!

ხოლო, თუ საქართველო რეალურად (და არა მოჩვენებითად) დაბრუნდა რუსულ ორბიტაზე, რატომ იქნება ეს ჩვენთვის კატასტროფა, მითუმეტეს, მაშინ, როცა სამყაროს ერთი ძალა მართავს და დღეს დასავლეთი და ჩრდილოეთი მხოლოდ პირობითი მცნებებია?!

მეორეც, სადაც სამართალია, უნდა ითქვას: სწორედ რუსული ორბიტიდან ოფიციალურად გასვლის შემდეგ დაიწყო საქართველოში ისეთი კანონების ინიცირება და მიღება, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას!

**ხატი, რჯული, არასდროს ვყოფილვარ რუსეთის აპოლოგეტი, ისიც ძალიან კარგად მესმის, რა დანაშაულიც აქვს რუსეთს საქართველოს წინაშე, მაგრამ ჩვენ რეალობის შეგრძნების უნარი არ უნდა დავკარგოთ.**

**და კიდევ: ჩვენი მთავარი მტერი არც რუსეთი და არც ევრო-ამერიკაა. ისინი თავიანთ მისიას ასრულებენ. საქართველოს მთავარი მტერი ისევ ჩვენ ვართ: ყველაფერს ადვილად რომ ვეგუებით, ბრძოლის და თეთრის და შავის გარჩევის უნარი რომ დავკარგეთ და ღირსებაც ზედ მივაყოლეთ!**

**თუ ეს არ გავითავისეთ და ჩვენს ცნობიერებაში მენტალური რევოლუცია არ მოვახდინეთ, ჭირსაც წაუღია ნებისმიერი არჩევნები — მაინც არაფერი გვეშველება!**



**ზაურ ნაჭყებია,**
**პუბლიცისტი**

# ზამთრის ტურიზმსაც დიდი პრობლემები ელოდება

**ზაფხულის ტურისტული სეზონი კატასტროფას გადაურჩა, მაგრამ საკმაო ზარალით დასრულდა. ახლა იგივე პრობლემების წინაშე დგანან ზამთრის კურორტები. ის კი არადა, აქ ვითარება უფრო დრამატულია, რადგან ის ვიზიტორები, რომლებმაც რამდენიმე თვის წინათ რუსი ტურისტები ჩაანაცვლეს საქართველოს შავი ზღვისპირეთში, ზამთრის ტურიზმით არ ინტერესდებიან. საუბარია აზერბაიჯანელ, სომეხ, ირანელ და ზოგადად აზიელ სტუმრებზე, რომლებიც ზამთრის თვეებში პასიურობით გამოირჩევიან.**



ამასობაში კი თეთრი ტურიზმის სეზონი კარსაა მომდგარი. სასტუმროების მეპატრონეები უკვე ჩივიან, რომ წინასწარ ჯავშნები თითქმის არსად კეთდება. შეკვეთები შემცირებულია რუსული ავიაემბარგოსა და ზოგადად ქვეყანაში არსებული მუდმივი დაძაბულობის გამოისობითაც.

სასტუმროების წარმომადგენლები სხვა ლოკალურ პრობლემებზეც ამახვილებენ ყურადღებას და ამბობენ, რომ ინფრასტრუქტურა კვლავ არ არის იმ დონეზე, რაც საკურორტო ზონებს შეეფერება. შიდა გზები, ტროტუარები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და ტრანსპორტი ისევ მოუგვარებელ პრობლემად რჩება.

სასტუმრო „თრუსოს“ ხელმძღვანელ **ლევან კარიჭაშვილს** იმედი აქვს, რომ ყველაფერი კარგად წარიმართება, მაგრამ აქედანვე ადასტურებს, რომ წელს რუსი ტურისტების ნაკლებობა იქნება.

**„მაგალითად, შარშან ჯავშნების 90% რუს ტურისტებზე მოდიოდა, წელს ჯერ კიდევ არ დაგვკავშირებიან. თუმცა, ისინიც ცდილობენ, რომ ავიამიმოსვლის არარსებობის გამო, სხვადასხვა გზებით მოხვდნენ საქართველოში. იმედი გვაქვს, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩამოვლენ.**

**რაც შეეხება პრობლემებს, რაც გასულ წელს იყო, იგივე რჩება. მხედველობაში მაქვს, შიდა გზები, რომელიც ისევ მოუწესრიგებელია, ნაგვის პრობლემა ისევ არის, ტრანსპორტი კი, იყო, არის და, ალბათ, სულ იქნება გუდაურის პრობლემა. არ ვიცი, ეს როგორ უნდა მოწესრიგდეს“.**

ჯავშნების ნაკლებობაზე საუბრობენ სასტუმრო „ედელვაისში“. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ სასტუმროს ადმინისტრაციაში განუცხადეს, შარშან სტუმრების 90% რუს ტურისტები იყვნენ, წელს კი ჯერ არც ერთი ჯავშანი არ ყოფილა.

**„ჩვენი ჯავშნების 90% უცხოელ ტურისტებზე მოდიოდა, აქედან აბსოლუტური უმრავლესობა კი რუსები იყვნენ. წელს შეთავაზება დაწყებულია, თუმცა ჯერ არც ერთი ჯავშანი არ გვაქვს“,** — აღნიშნავენ სასტუმროში.

ბაკურიანში მდებარე საოჯახო სასტუმროს მფლობელი **დათო გელაშვილიც** იმავეს ადასტურებს. მისი ინფორმაციით, წელს ტურისტების აქტივობა მიზერულია.

**„გასულ წელს, ამ დროს, თითქმის სრულად იყო შევსებული სასტუმრო საახალწლო ჯავშნებით. ტურისტები, როგორც წესი, რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა სლავური ქვეყნებიდან არიან. თოვლი არც ირანელებს და არაბებს აინტერესებთ და დიდად არც მეზობელ აზერბაიჯანს. ბოლო მოვლენების მერე, თითქმის არც ერთი ჯავშანი არ მაქვს პირადად მე, რაც ძალიან უცნაურია. სულ მინიმუმ უკრაინიდან მაინც ველოდებოდი. იმედია, აწი გააქტიურდებიან. გემახსოვრებათ, რომ შარშან თოვლი, ფაქტობრივად, არ მოვიდა და მთელ დაჯავშნილ სეზონს ნელ-ნელა აუქმებდნენ. წუწუნი ნამდვილად არ მინდა და სახელმწიფოსგანაც არაფერს ვითხოვთ, მაგრამ ყველას მეტი ფიქრი მართებს“,** — ამბობს გელაშვილი.

**ბექა დანელია**

# საჩუქარი დედაქალაქს

**პირველი რესპუბლიკის მოედანზე ქანდაკება N'Uovo გაიხსნა, რომელიც იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა მოქანდაკე პრასტომ, ვაჟა მიქაბერიძემ შექმნა.**

**ქანდაკება N'Uovo აბსტრაქტული კომპოზიციაა, რომელიც კეთილდღეობას, მომავლის ნაყოფიერებასა და სიახლის სიმბოლოს გამოხატავს. ხუთმეტრიანი ქანდაკება მოძრავია და ქარის ზემოქმედების საშუალებით ტრიალებს.**

**N'Uovo იტალიაში ავტორის სახსრებით დამზადდა და იგი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საჩუქრად გადაეცა. ქართველმა მოქანდაკემ თავდაპირველად, იგი საჩუქრად ქ. პიეტრასანტას გადასცა, ქანდაკება ასევე მრავალ კერძო კოლექციაში და სხვადასხვა სამუზეუმო სივრცეშია განთავსებული.**

**პრასტო (ვაჟა მიქაბერიძე) თბილისში 1967 წელს დაიბადა. 1993 წელს იგი საცხოვრებლად იტალიაში გადავიდა.**



# კომპანია მაგთიკომი და ხანის აკადემია: პარტნიორობა საგანმანათლებლო მიზნით




**წარმატებული პროფესიული საქმიანობის პარალელურად, საქართველოს საკომუნიკაციო სფეროს უპირობო ლიდერი, კომპანია მაგთიკომი, სამამულო კულტურის მხარდაჭერისა და ეროვნული განათლების დონის ასამაღლებლად მრავალ საგულისხმო პროექტს ახორციელებს. ამის კიდევ ერთი საუცხოო მაგალითია ის გარემოება, რომ ცოტა ხნის წინათ მაგთიკომი მსოფლიოში წამყვანი უფასო საგანმანათლებლო პლატფორმის — ხანის აკადემიის პარტნიორი გახდა.**

აღსანიშნავია, რომ ხანის აკადემია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი არაკომერციული საგანმანათლებლო ორგანიზაციაა. პლატფორმა ათასობით ვიდეოგაკვეთილსა და პრაქტიკულ სავარჯიშოს მოიცავს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გამარტივებას. ხანის აკადემიის აპლიკაცია აერთიანებს ლექციების ციკლებს ფუნდამენტურ მეცნიერებებში — **მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, აგრეთვე ეკონომიკასა და ფინანსებში, კომპიუტერულ პროგრამირებაში, ისტორიაში, მედიცინასა და მთელ რიგ სხვა დისციპლინაში**.

უნდა ითქვას, რომ კომპანია მაგთიკომისა და ხანის აკადემიის თანამშრომლობა ორ მიმართულებას მოიცავს: კომპანიამ აკადემიის უმაღლესი მათემატიკის კურსის გაქართულება უზრუნველყო და, ასევე, მაგთის ტელევიზიის აბონენტებს საშუალება მისცა, აპლიკაციის მეშვეობით სხვადასხვა დარგის ლექციების კურსები მოისმინონ.

ხანის აკადემიის სასწავლო კურსების ქართული ვერსია საგანმანათლებლო ფონდ Educare Georgia-ს მიერ მზადდება.

— ხანის აკადემიასთან კურსების მომზადება ჩვენი ორგანიზაციის ყველაზე მასშტაბური პროექტია, — აცხადებს ფონდ Educare Georgia-ს დირექტორი **გიორგი ჯიბლაძე**. — დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ის არის, რომ უფროსი კლასების მოსწავლეებს ტექნიკურ საგნებში — ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ბიოლოგიასა და კომპიუტერულ პროგრამირებაში საკმაოდ დაბალი აკადემიური მოსწრება აქვთ.

ამას ისიც ერთვის, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა, ქართულენოვანი მასალები ამ საგნებში საკმაოდ ცოტაა, თანაც ინტერნეტსივრცეში აქამდე არც არსებობდა.

**ამჟამად კი ხანის აკადემიის ვებ-გვერდზე 3,5 ათასზე მეტი ვიდეოგაკვეთილი, 8 მილიონი სიტყვა-სავარჯიშო და საკითხავი მასალაა.**

მეტად სასიხარულოა ის გარემოებაც, რომ ქართულ პლატფორმას უკვე 150 ათასზე მეტი მოსწავლე და მასწავლებელი იყენებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ პროექტი მთელ საქართველოში საკმაოდ პოპულარულია, — ამბობს ფონდის თავკაცი.

დიდი ხნის მანძილზე მაგთიკომის საგანმანათლებლო სარბიელზე ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ საუბრობს კომპანიის კომერციული დირექტორი **ნიკოლოზ დავითაშვილი**:

— სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერით, მაგთიკომი წლების მანძილზე ხელს უწყობს ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, განათლების მიღებასა და პროფესიულ ზრდაში. ინოვაციური გზების შეთავაზებით, მაგთიკომი მუდამ ცდილობს ცოდნის გაღრმავების მსურველებისთვის მოტივაციის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტების საგანმანათლებლო მასალების მათთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომად გახდომას.

სწორედ ამ ნიშნით შეარჩია კომპანიამ მსოფლიოში აღიარებული უფასო საგანმანათლებლო პლატფორმა — ხანის აკადემია, რომელიც სხვადასხვა დარგის სასწავლო ლექციებს აერთიანებს.

**მაგთიკომმა უმაღლესი მათემატიკის 600-ზე მეტი გაკვეთილის ქართულად თარგმნა უზრუნველყო, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია,** ვისაც კი საგნის შესწავლისა და ცოდნის გაღრმავების სურვილი გაუჩნდება.

მეორე მნიშვნელოვანი სიახლე განსაკუთრებით მაგთის ტელევიზიის მომხმარებლებს გაახარებთ, რომელთაც **ამიერიდან უკვე აქვთ საკუთარი ტელემიმღებებით ხანის აკადემიის აპლიკაციის საშუალებით საინტერესო ლექციების ქართულად მოსმენის შესაძლებლობა,** — განაცხადა ბატონმა ნიკოლოზ დავითაშვილმა.

აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ **იმისთვის, რათა მომხმარებელმა შეძლოს ხანის აკადემიის აპლიკაციით სარგებლობა, საჭიროა მაგთის IP ტელევიზიის მიმღები მოწყობილობის გადატვირთვა.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# რამდენიმე ოლიგარქის ყოლა სჯობს ერთისას?!

(მეოთხე გვერდიდან) **— პოლარიზაციის საკითხი ძალიან პრობლემურია და ვიცი, არამხოლოდ საქართველოსთვის. თუმცა, ის კვლავაც ნარჩუნდება ჩვენს ქვეყანაში. რასაც ვხედავთ, არის მუდმივი დაპირისპირება პოლიტიკურ ძალებს შორის, იფლანგება რესურსები და პრობლემები გადაუჭრელი რჩება — ეკონომიკური, პოლიტიკური, ქვეყნის განვითარებისთვის არსებული პრობლემები. შეგიძლიათ, მეტი გვითხრათ პოლარიზაციის დამაზიანებელ ხასიათზე?**

— ვფიქრობ, აშშ-ში ისეთი ხარისხის პოლარიზაციაა რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის, რომ ის ასუსტებს აშშ-ს. ჩვენ წლიდან წლამდე ვერ ვთანხმდებით ბიუჯეტზე, ვერ ვთანხმდებით მნიშვნელოვან კანონმდებლობაზე, რაც სჭირდება სხვადასხვა საკითხის გამოსწორებას — მაგალითად, ჩვენს იმიგრაციის სისტემას, იარაღზე კონტროლს. ეს ასუსტებს აშშ-ს არა მხოლოდ შიგნით, არამედ დანარჩენი მსოფლიოს წინაშეც. ჩვენ ვხედავთ რუსეთს, როგორ იყენებს ამ პოლარიზაციას იმისათვის, რომ აშშ განზრახ დაასუსტოს. ყველა ამ მიზეზის გამო, ეს, ალბათ, არის ყველაზე სერიოზული პოლიტიკური პრობლემა, რომლის წინაშეც ვდგავართ.

**— არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვციტირებ თქვენს სიტყვებს, მაგრამ თქვით, რომ რუსეთი თავისი მიზნებისთვის იყენებს სუსტ საბრძოლო ველებს. რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს მსგავს ქვეყანას თავდაცვის სფეროს მიღმა, რომ იყოს უფრო ძლიერი რუსეთის ზეგავლენის წინაშე?**

— ვფიქრობ, რუსეთის მთავარი ბრძოლის ველი ახლა არის კიბერსივრცე — სხვების არჩევნებზე ზეგავლენისთვის სოციალური მედიის, ყველა სახის ციფრული საშუალების გამოყენებით. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, არის თავის დაცვა. უნდა იყოთ ფხიზლად, უნდა ჩადოთ ინვესტიცია კიბერუსაფრთხოებაში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს თავდასხმები საქართველოზე შეწყდეს, როცა მათ გამოავლენთ. არსებობს ადეკვატური გზები ადამიანებისა და ორგანიზაციების სივრცეების დასაცავად.

**— მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებისკენ მივიწევთ და უკვე ვართ წინასაარჩევნო ფაზაში. რა არის საქართველოს შიდა პოლიტიკისთვის მთავარი რისკი, მთავარი საფრთხე?**

— ვფიქრობ, რამდენიმეა და ყველაზე დიდი რუსეთის ჩარევაა, რადგან, ცხადია, რუსეთს ჰყავს თავისი ფავორიტები, ვის გამარჯვებასაც ისურვებდა არჩევნებში.

**— ეს მხოლოდ კიბერსივრცეს არ ეხება.**

— არა მხოლოდ კიბერსივრცეს, მაგრამ ისინი გამოიყენებენ კიბერსივრცესაც, როგორც ერთ-ერთ იარაღს ზეგავლენის მოსახდენად. ეს დიდი საფრთხეა. არსებული პოლარიზაციაც სისუსტეა, აშშ-ის მსგავსად, რადგან ეს არის ის, რისი გამოყენებაც შეუძლიათ გარე ძალებს. თუმცა, ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ საქართველოს შიგნითვე არის ნაკლები თანხმობა. ასე რომ, ვფიქრობ, ესეც იქნება საკმაოდ საფრთხის შემცველი ამ ქვეყნისთვის.

**— ფიქრობთ, რომ რუსეთის ზეგავლენა საქართველოში იზრდება?**

— მეუბნებიან, რომ იზრდება. ვინაიდან მე აქ არ ვცხოვრობ, ვერ ვიქნები ამის საუკეთესო შემფასებელი.

**— მესმის. თქვენ კვლავ და კვლავ ბრუნდებით საქართველოში. რა გაინტერესებთ ამ ქვეყანაში?**

— მე მჯერა გლობალური დემოკრატიის. ვფიქრობ, საქართველო უკრაინასთან ერთად იმყოფება გლობალური ბრძოლის წინა ხაზზე იმის საცდელად — შეუძლია თუ არა ამ ქვეყანას რეალურად გათავისუფლდეს რუსეთის ზეგავლენისგან და იქცეს ჭეშმარიტ დემოკრატიად. მსურს, გავაკეთო, რაც კი შემიძლია ამ პროცესის ხელშეწყობისთვის.

**— მითხარით, განსხვავდება სურათი, როცა ქვეყანას გარედან უყურებ და როცა შიგნიდან ერკვევი ვითარებაში, როცა აქ ყოფნის შესაძლებლობა გაქვთ?**

— ქვეყანაში ჩასვლისას მის შესახებ იგებ ისეთ რაღაცებს, რასაც სხვაგვარად ვერ გაიგებდი. იმის გამო, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მასზე ბევრი არ იწერება. ასე რომ, ვეყრდნობი ამ ქვეყანაში ვიზიტებს იმისათვის, რომ ვესაუბრო ადამიანებს, ყველა ჩემს მეგობარს, რომ უკეთესად გავიგო, რა ხდება.

**ესაუბრა**
**ნინო გელაშვილი**



# ხანძარი აფხაზეთის მთებში

**ცეცხლი სოფელ ფსხუს მხრიდან 150-200 ჰექტარზეა გავრცელებული. ხანძრის კერები აღნიშნულ ტერიტორიაზე 10 ნოემბერს გაჩნდა. სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენლის თემურ კვიცინიას თქმით, იწვის ტყე, ხანძარი გუდაუთის რაიონისკენ ვრცელდება.**

მისივე ცნობით, ხანძრის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტები არ არის. კვიცინიას განმარტებით, ხანძრის მასშტაბებიდან გამომდინარე, მაშველები საკუთარი ძალებით ცეცხლს ვერ უმკლავდებიან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუს კოლეგებთან, რათა ხანძრის ჩაქრობაში ავიაცია ჩაერთოს.

# მარადიული მიწის დაუმთავრებელი პრობლემები

## ისრაელში საქართველოს საელჩო მოქალაქეების საყურადღებოდ განცხადებას ავრცელებს

ისრაელში საქართველოს საელჩო მოქალაქეების საყურადღებოდ განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში მოცემულია ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისრაელში განგაშის სიგნალის ამოქმედების შემთხვევაში.

**„მოქალაქეთა საყურადღებოდ! გთხოვთ, გაეცნოთ ინსტრუქციას:**

**მოქმედების ინსტრუქცია ისრაელში განგაშის სიგნალის/სირენის ამოქმედების შემთხვევაში:**

**სირენის/განგაშის სიგნალის ან აფეთქების ხმის გაგონებისთანავე უნდა განხორციელდეს შემდეგი ქმედებები, რაც დამოკიდებულია თქვენს ადგილმდებარეობაზე, კერძოდ:**

**შენობაში — უნდა შეხვიდეთ დაცულ სივრცეში, თავშესაფარში ან სპეციალურ დაცულ ოთახში, დაკეტოთ კარები და ფანჯრები;**

**შენობის გარეთ ყოფნისას — შედით უახლოეს შენობაში იმ შემთხვევაში, თუ ახლოს არ მდებარეობს სპეციალური თავშესაფარი. თუ თქვენს ახლოს არ არის არცერთი შენობა, დაწექით და თავზე დაიფარეთ ხელები;**

**ავტომობილში — გააჩერეთ, გადმოდით ავტომობილიდან და შედით უახლოეს შენობაში ან თავშესაფარში. თუ თქვენს ახლოს შენობა ან თავშესაფარი არ მდებარეობს, გადმოდით მანქანიდან, დაწექით და თავზე დაიფარეთ ხელები;**

**სამი ან მეტსართულიანი შენობის ბოლო სართულზე მცხოვრები პირები, თუ შენობაში არ არის დაცული სივრცეები (თავშესაფარი, სპეციალური ოთახი), უნდა დაეშვან ორი სართულით ქვემოთ;**

**სამსართულიან შენობაში ბოლო სართულზე მცხოვრები პირები, თუ შენობაში არ არის დაცული სივრცეები (თავშესაფარი, სპეციალური ოთახი) უნდა დაეშვან ერთი სართულით ქვემოთ;**

**დაუშვებელია შენობის შესასვლელში, სადარბაზოებში მოქალაქეების გაჩერება;**

**სხვა ინსტრუქციის არარსებობის შემთხვევაში, სირენის/განგაშის სიგნალის დასრულებიდან 10 წუთის შემდეგ შეგიძლიათ დატოვოთ შენობა;**

**დაუშვებელია ჩამოგდებულ რაკეტასთან ან სხვა ობიექტთან მიახლოება. ასეთ შემთხვევაში მოუწოდეთ მოქალაქეებს არ მიუახლოვდნენ ობიექტს/ჩამოგდებულ რაკეტას და აცნობეთ პოლიციას;**

**თვალყური ადევნეთ მედიას შემდგომი ინსტრუქციების მისაღებად.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ისრაელის საგანგებო სიტუაციების სამსახურს, ვებგვერდი: www.oref.org.il, სოციალური მედიით (Facebook) ან შემდეგ ტელეფონზე: 104“,** — აღნიშნულია ისრაელში საქართველოს საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტები გაუშვეს. განგაშის სიგნალი ისრაელის რამდენიმე ქალაქში ამოქმედდა, მათ შორის თელ-ავივში. საქართველოს პირველ არხს ისრაელის ქალაქ ბათ-იამიდან თვითმხილველმა ვიდეო მოაწოდა, რომელიც განგაშის დროს არის გადაღებული. სარაკეტო დარტყმების შედეგად გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. ღაზას სექტორიდან რაკეტები ისრაელის ქალაქების მიმართულებით მას შემდეგ გაუშვეს, რაც ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში დაჯგუფება „ისლამური ჯიჰადის“ მეთაური **ბაჰა აბუ ალ-ატა** მოკლა.

◉ წაიკითხეთ და გამოგვეხმაურეთ!

# ნარატივი ოკუპანტისა

# მედუქნეთა სიბრძნე



**ამ დალოცვილ პლანეტაზე, სანთლით რომ ეძებოთ, უნიჭო ერებს ვერსად ვერ წააწყდებით. ბატონო ჩემო, ეს აქსიომაა. მაგრამ ჯეროვნად გაისარჯო, დაიხარჯო და, მაშასადამე, სახელი გაუთქვა საკუთარ თავსა და მშობელ ხალხს, ამგვარი მისია ოსტატისა და გენიოსისთვისაც კი გაცილებით იოლია დიდი ქვეყნის გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეში, თუნდაც მას იმპერია ერქვას. ეს მოსაზრება მე როდი აღმომიჩენია, მაგრამ ცხოვრებაში ხშირად შეუფასებელი რჩება.**

გამოჩენილ ბრიტანელ მწერალთა შორის ბევრია ირლანდიელი; ეკრანისა და სცენის ოსტატთა შორის — მკვიდრნი შოტლანდიისა. ისინი, ყველანი, რასაკვირველია, თავისი მცირე სამშობლოს პატრიოტები არიან, მაგრამ მათი მტკიცედ ჩამოყალიბების პროცესს ხელი შეუწყო მსოფლიო მნიშვნელობის ანგლოსაქსონურ კულტურაში ჩართვამ. დიდებულ ფრანგ მხატვრებში ცოტანი როდია იტალიელები, ესპანელები, ჰოლანდიელები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენებურებიც. ეს კი იმიტომ ხდება, რომ პარიზი მთელი ათწლეულების მანძილზე იყო მხატვრობის მექა. სახელგანთქმულ შანსონიეებს ბელგიური, იტალიური, ბერძნული, სომხური ფესვები მოეპოვებათ, მაგრამ ისინი, ყველანი — ფრანგი არტისტები არიან, რამდენადაც თავისთავად სისხლს კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ მხატვრულ ტრადიციას და აღიარების ველს. რაც უფრო ფართოა ველი — მით უკეთესი.




საზღვარგარეთული მაგალითები იმიტომ მომყავს, რათა ხაზი გავუსვა: ჩვენშიც ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ყველგან ამ ცისქვეშეთში. მთელ მსოფლიოში აღიარებულ „რუს ტალანტებად“ გვევლინებიან უკრაინელები, გერმანელები, პოლონელები, ებრაელები, სომხები — ერთი სიტყვით, ვინც კი გენებოთ. და ჭეშმარიტ პატრიოტებს, ხელოვნების ჭეშმარიტ დამფასებლებს ეს არც აოცებთ და არც აწუხებთ. გოგოლი, ზოშჩენკო, პასტერნაკი, ოლეშა, ოკუჯავა, აიტმატოვი, ისკანდერი... და მარტოოდენ ლიტერატორები როდია ჩამოსათვლელი.

საბჭოეთის კულტურულ პოლიტიკას შეიძლება, პრეტენზიები წავუყენოთ, მაგრამ იგი ხელოვნების კაბადონზე აბრწყინებდა საბჭოთა კავშირში მოსახლე ნებისმიერ ხალხთა შვილებს და წარუდგენდა მთელ ქვეყანას და მსოფლიოს.

სახელგანთქმული ქართული კინო ეროვნული ცნობიერების ყველა მომხიბლავ ფერსა და ჟინს გამოხატავდა, მაგრამ მოთხოვნილება, გაგება და სიყვარული დაჰყვებოდა რუსულ სივრცეში. თავს ნებას მივცემ ვივარაუდო, რომ ამ კინოს, შესაძლოა, გაუცნობიერებლად ილებდნენ რუსი და უფრო ფართოდ — საბჭოთა მაყურებლისთვის. ახლა კი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, საქართველომ გადაწყვიტა „გალობა“ ინგლისურად. ამასთან, ხშირად თავს ისე გვაჩვენებს, თითქოსდა რუსული ენა აღარც კი ახსოვდეს. თუმცა ვინ იცის, ეგებ არც არასოდეს სცოდნია და სულის სიღრმეში კიდეც სძაგდა. კეთილი, ამის გამო ნუ დავძრახავთ, მაგრამ გავბედავ იმის მტკიცებას, რომ ოდინდელ ქართულ კინოს არსებობა აღარ უწერია, რამეთუ ფილმებს, კულტურული ველის გარდა, სჭირდებათ არა მარტო ბაზარი, არამედ აუცილებელია პუბლიკაც, რომელიც მზად არის, რომ ფილმები ზუსტად და სრულად აღიქვას. მაგრამ სად ნახავთ ამ პუბლიკას — გერმანიაში, ინგლისში და მით უფრო — შეერთებულ შტატებში?

ყოველივე ზემოთქმული ეხება პოპულარულ მომღერლებსაც, საქართველოს სახელი რომ გაუთქვეს საბჭოთა კავშირში. ისინი ძალიან უყვარდათ — მათი ნიჭიერების გამო, იმ უნარის გამო, რომ თავის განსაკუთრებულ, კავკასიურ ხიბლს მუდამ აწვდიდნენ საბჭოთა, არსებითად რუსულ კულტურას. ამჟამად ყოფილი რჩეულ-გამორჩეული ფავორიტები ამაყად აცხადებენ, გასტროლებზე რუსეთში აღარ ჩამოვბრძანდებითო. მაშინ ეგებ ამერიკაში გაუტიონ? ღმერთმა ხელი მოუმართოთ! დიახაც, ორ თუ სამ ემიგრანტულ რესტორანში გამოვლენ და მერე სადღა წავლენ? გამოაცხადებენ, თუ როგორი წარმატება მოიმკეს? კეთილი და პატიოსანი! სერგეი დოვლათოვი ამგვარ წარმატებას მშობლიურ ეთნიკურ გარემოში ამსგავსებდა საცირკო დათვების სეირნობას ველოსიპედებით. ვაუ! თურმე შეძლებიათ!

**რუსული კულტურის უნარი ურთიერთმოქმედებისა სხვათა კულტურებთან, მათი დათრგუნვისა და ჩარეცხვის გარეშე — უნიკალურია. ჯერ კიდევ ყოველგვარ აგიტპრომებამდე პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და სხვა ოსტატთა გარჯით ჩვენი კულტურა და მისი კონკრეტული წარმომადგენლები თავიანთ პატივად მიიჩნევდნენ, რომ ხელი გულღიად გაეწვდინათ ქართველ მოძმეთათვის (როგორც სახელმწიფო — სახელმწიფოს).**

**დავას არ ვაპირებ. შესაძლოა, ვინმეს ნიუ-იორკისა და პარიზის პრომენადები უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე მოსკოვისა. მაგრამ როგორც სამართლიანად შეუნიშნავთ, ისტორია არ გახლავთ, ნევის პროსპექტის ტროტუარი, ისევე როგორც მეხუთე ავენიუსა და ელისეის მინდვრების ტროტუარი. მარიფათიან მედუქნეებს, რომლებიც მოსკოვში ლამის ყოველ ქუჩაზე ლამობენ ქართული რესტორნის გახსნას, ეტყობა, პოლიტიკოსებსა და თავიანთ არტისტებზე უკეთ ესმით მშობელი ქვეყნის ასავალ-დასავალი.**

**ანატოლი მაკაროვი,**
მწერალი
„ლიტერატურნაია გაზეტა“, 2019, №32-33

რუსულიდან თარგმნა **მურმან ბულათურქიამ**

# დანიაში ებრაული საფლავები შეურაცხყვეს



**დანიაში დაუდგენელმა პირებმა XIX საუკუნის ებრაულ სასაფლაოზე 80-ზე მეტ საფლავს საღებავი შეასხეს.შემთხვევა იუტლანდიის ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქ რანერსში მოხდა. მედიის ცნობით, ვანდალიზმის ეს ფაქტი სავარაუდოდ „ბროლის ღამეს“ ეძღვნება. 81 წლის წინათ ამ დღეს გერმანიაში ნაცისტებმა ებრაული სკოლები, მაღაზიები, სახლები და სინაგოგები დაარბიეს და დაწვეს.**

**მომხდარს დანიის პრემიერ-მინისტრი მეტე ფრედერისკენი უკვე გამოეხმაურა. მან ვანდალიზმი დაგმო და განაცხადა, რომ ანტისემიტიზმი და რასიზმი დანიურ საზოგადოებაში დაუშვებელია.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ბექარ მუხაშავრიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ბექარ მუხაშავრია (პ/ნ 61001064310), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, ქათამაძის 32, სართული 1-2, ბინა 2 (საკადასტრო კოდი: 05.30.11.054.01.002).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 3000 ლარი.
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2019 წლის 13 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2019 წლის 27 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP63495319;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 634953

6. მოვალე: ნინელი ხახუტაიშვილი (პ/ნ 61004019788), ქ. ბათუმი, ქათამაძის 32.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. აუქციონის პირობები:
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63495319; ლოტის ნომერი: 634953).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 27 ნოემბრის 10:00 საათამდე.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს აქბარ ქაზუმოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: აქბარ ქაზუმოვი (პ/ნ 36001010682), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-5 1 ჩიხი №2.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯოს რაიონი, ს. იორმუღანლო (საკადასტრო კოდი: 55.22.54.151).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 22391.39 ლარი
3. აუქციონის დაწყების დრო: 2019 წლის 27 ნოემბერი, 12:00 საათი;
4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
5. მოვალე: აქბარ ქაზუმოვი (პ/ნ 36001010682), საგარეჯო, ს. ზემო ლამბალო, მე-5 1 ჩიხი №2;

აბილ ქაზუმოვი (პ/ნ 36001003415), საგარეჯო, ს. იორმუღანლო.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
7. აუქციონის პირობები:
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 27 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# „ბაროკოს ფესტივალი“ თბილისში

**თბილისში 13 ნოემბრიდან „თბილისის ბაროკო ფესტივალი“ გაიმართება. თბილისის მერიის კულტურის სამსახურის ინფორმაციით, ფესტივალის ფარგლებში, კონცერტები, წარმოდგენები და შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან გაიმართება.**

ღონისძიებას ტრადიციულად მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები – დავიდე ამადიო (ჩელო, იტალია), სერჯო აცოლინი (ფაგოტი, იტალია), ბალაჟ მატე (ჩელო, უნგრეთი), ჟოზეპ მარია მარტი დურანი (თეორბო, ესპანეთი), დანიელ გარაი მორაგუესი (დასარტყამი საკრავები, ესპანეთი), ანსამბლი Fuoco E Cenere (საფრანგეთი), გ. ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტი და სხვები ესტუმრებიან.

წელს ფესტივალი საიუბილეო თარიღს ახალი პროექტით „ცეკვა ბაროკოს მუსიკაში და თანამედროვე ქორეოგრაფია“ ხვდება, რაც ძველი და თანამედროვე ხელოვნების პერფორმატიული წარმოდგენა იქნება.

18-19 ნოემბერს რუსთაველის თეატრში მაყურებელი მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ წარმოდგენას „ძველებური ცეკვები“ იხილავს (კოსტიუმების მხატვარი – უტა ბექაია), ხოლო 24-25 ნოემბერს, სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ბალეტი „ფოლია“. პროექტი „ცეკვა ბაროკოს მუსიკაში და თანამედროვე ქორეოგრაფია“ „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსის გამარჯვებულია.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია საინტერესო შეხვედრები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელოვნების სასახლეში, ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ გალერეაში, რომელსაც გია ბუღაძე, მარიამ ალექსიძე, გიორგი კალანდია, თამარ ჩხეიძე და გიორგი კეკელიძე ჩაატარებენ.

რიგით მეხუთე ფესტივალი 13 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება და მისი მხარდამჭერები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია, შემოქმედებითი საქართველო, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სიმფონიეტა“ და იტალიის საელჩო არიან.




## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს სტეფანე კარელიძის და ნიკა პაპუნაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: სტეფანე კარელიძე (პ/ნ 59001028845), გორის რაიონი, სოფ. საქაშეთი;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გორის რაიონი, სოფ. საქაშეთი (საკადასტრო კოდი: 66.43.01.022).

2. უძრავი ნივთების მესაკუთრე: ნიკა პაპუნაშვილი (პ/ნ 59001099511), ქ. გორი, თამარ მეფის 5 კვ, №15, ბინა №3

2.1 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გორის რაიონი, სოფ. შინდისი (საკადასტრო კოდი: 66.42.09.128).

2.2 უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გორის რაიონი, სოფ. შინდისი (საკადასტრო კოდი: 66.42.10.358).

3. უძრავი ნივთების სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
4. უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 25851.70 ლარი.
5. აუქციონის დაწყების დრო: 2019 წლის 27 ნოემბერი, 12:15 საათი;
6. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
7. აუქციონის ჩატარების ფორმა: უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
8. მოვალე: ნიკა პაპუნაშვილი (პ/ნ 59001099511), ქ. გორი, თამარ მეფის 5 კვ, №15, ბინა №3;

ლაშა მაისურაძე (პ/ნ 59001054231), გორი, სოფ. შინდისი, 22-ე მე-2 ჩიხი №7.

9. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11;
10. აუქციონის პირობები:
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 27 ნოემბრის 12:00 საათამდე.

სუმო

# ნავსი გავტეხეთ



**კიუშუ ბაშოზე ქართველმა სუმოისტებმა მოგებათა სერია გახსნეს. წლის ბოლო სუპერტურნირის მესამე საშეჯიბრო დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინი კომოსუბი ენდოს დაუპირისპირდა და მისიდამარცხება ჰატაკიკომის ილეთით მოახერხა.**

ჩვენებური უპირატესობას თავიდანვე დაეუფლა და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს აღნიშნული წყვილის მე-12 დაპირისპირება იყო და მოგება-წაგების ბალანსი გათანაბრდა — 6:6-ზე.

აღსანიშნავია, რომ როგორც ტოჩის, ისევე ენდოს მიმდინარე ბაშოზე 1 მოგების საპირისპიროდ 2 მარცხი აქვს. ლევანს იმისთვის, რათა ოძეკის ტიტული დაიბრუნოს, დარჩენილი 12 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 9-ის მოგება მართებს და თუ გავითვალისწინებთ მის ბრძოლისუნარიანობას პირველ ორ შეხვედრაშიც, ეს შეუძლებელი არ უნდა იყოს.

გორგაძის მომავალი მეტოქე მესამე მაეგაშირა ტაკარაფუჯი იქნება, რომელსაც აქამდე 16-ჯერ შეხვედრია და 9 შემთხვევაში გაიმარჯვა, 7-ჯერ კი დამარცხდა.

ტოჩინოშინის მსგავსად, პირველი გამარჯვება იზეიმა თეიმურაზ ჯუღელმაც. გაგამარუ ჯურიოს მე-14 ნომერ იროდორს დაუპირისპირდა და მეტოქე მანაც ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა.

ჩვენებური იროდორთან ურთიერთშეხვედრებში წინ გაიჭრა, რადგან გუშინ მე-3-ედ შეხვდა და მის ანგარიშზე 2 მოგების წილ 1 მარცხია.

ამრიგად, „გაგას" შემოდგომის მეორე სუპერტურნირზე 1 მოგება და 2 მარცხი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი12 დაპირისპირებიდან მინიმუმ 7 უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დაქვეითდება.

მისი მომდევნო მეტოქე ჯურიოს მე-11 ნომერი ვაკამოტოჰარუ იქნება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 2:0 სჯობნის, მიმდინარე ბაშოზე კი მომავალ მეტოქეს ასევე 1 მოგების საპირისპიროდ 2 მარცხი აქვს.

**კობა კობახიძე**

თანამემამულე

# ფეერია გრენობლში ქართული რეჟისურით

**ქართული სპორტის, მეტადრე ფიგურული სრიალის ქომაგებსა და გულშემატკივრებს დიდად გვეამაყება რუსეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, ყინულზე ამ ულამაზეს სანახაობაში ჭეშმარიტი „რევოლუციის" მომწყობის ეთერ თუთბერიძის წარმატებები, რომელთა რიცხვი ყველა დონის შეჯიბრიდან შეჯიბრამდე იზრდება.**

ქალბატონ ეთერის „რევოლუციური მოღვაწეობა" მიმდინარე სპორტულ სეზონშიც მეტად შთამბეჭდავია და მისი გაწვრთნილი რუსი მოციგურავე ქალები გრან-პრის ამჟამინდელ გათამაშებაში წარმატებას წარმატებაზე აღწევენ.

სხვადასხვა ავტორიტეტული სპორტული გამოცემის მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „გრან-პრის წლევანდელი გათამაშების ყოველ ეტაპზე ეთერი თუთბერიძე სახელოდან „ტუზკოზირს" იღებს, რის წყალობითაც მისი სკოლა აშკარა უპირატესობით იმარჯვებს". კერძოდ, გრან-პრის წლევანდელი გათამაშების პირველ ორ ეტაპზე ყველას მისმა აღზრდილებმა **ანა შჩერბაკოვამ** და **ალექსანდრა ტრუსოვამ** აჯობეს, რომლებიც თავიანთ პროგრამებში ურთულეს ოთხმაგ ბრუნებს ასრულებდნენ.



და აი, რამდენიმე დღის წინათ ეთერი თუთბერიძის სკოლის აღსაზრდელებმა, უნიჭიერესმა მოციგურავეებმა, 16 წლის **ალიონა კოსტორნაიამ** და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალინა ზაგიტოვამ** საფრანგეთის ქალაქ გრენობლში მაყურებლებს მორიგი, სრულიად ფანტასტიკური სპორტული სპექტაკლი შესთავაზეს. ამ ორ შესანიშნავ სპორტსმენს შორის დავა უკვე არა იმდენად ტექნიკის, რამდენადაც აღმაფრენის დონეზე მიმდინარეობდა, რამაც მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა. ამ ორთაბრძოლაში ალინა ზაგიტოვა მეტოქეს ოდნავ ჩამორჩა — მან მოკლე პროგრამაში მცირე შეცდომა დაუშვა, რაც „არ ეპატია". ამის რამდენადმე „დაფარული" მიზეზი შესაძლოა ისიცაა, რომ ალინა ზაგიტოვა, როგორც იტყვიან, „ბავშვობას დაემშვიდობა" და ქალიშვილობის დიდებულ ასაკში შეაბიჯა. თუმცა, აღმზრდელის ტრიუმფი ასეთად მაინც რჩება, რომელი აღსაზრდელიც უნდა ავიდეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

**ნინო ალექსანდრია**

კალათბურთის სამშობლოში

# თუ გული გულობს

**ყოველთვის სასიამოვნოა როცა უცხოეთში წასულ ქართველებზე რაიმე დადებითს გაიგებ. მით უმეტეს, თუ მათზე ადგილობრივები დაწერენ. ორიოდე დღის წინათ ბრუკლინურმა პორტალმა bklyner-მა, წერილი მიუძღვნა თბილისელ ახალგაზრდას, რომელიც ამერიკულ საკალათბურთო სამყაროში ცდილობს დამკვიდრებას.**



გიორგი კოღუაშვილი ექვსი წლის იყო, როდესაც ბიძამ „კოსმიური ჯემის" ასლი უყიდა (**„კოსმიური ჯემი" ცნობილი საოჯახო კომედიური ფილმია, რომელშიც ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი მულტიპლიკაციური ფილმების გმირებთან ერთად უცხოპლანეტელებს დაამარცხებს კალათბურთში - რედ**). მაშინ გიორგი პოსტსაბჭოთა საქართველოში ცხოვრობდა.

ამ ფილმმა კოღუაშვილის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა: **„შემიყვარდა მაიკლ ჯორდანი და მინდოდა მას დავმსგავსებოდი"** - იხსენებს გიო.

და ახალგაზრდა კალათბურთის სამყაროში გადაეშვა, სპორტული სტიპენდიით ნიუ იორკში გაემგზავრა, აკადემიას მიაგნო, რომელიც სამხრეთ ბრუკლინში მდებარეობს და იქ ასობით ბავშვი ეუფლება ამ შესანიშნავი თამაშის საფუძვლებს.

ბავშვობაში თბილისში „მწვრთნელმა გიომ," როგორც მას უწოდებენ, ეზოში ხის ფართან დაიწყო თამაში და პირველ ორგანიზებულ ჯგუფს შვიდი წლისა შეუერთდა.

**„პირობები საშინელი იყო — ფანჯრები ჩამსხვრეული, იატაკი დაზიანებული, ფარები მოღრეცილი. არ გვქონდა ელექტროენერგია და გათბობა, ქურთუკებით და ხელთათმანებით ვთამაშობდით",** —განაცხადა მან ერთ-ერთ ინტერვიუში მე-18 ავენიუზე, იტალიურ-ამერიკული ფედერაციის დარბაზში, სადაც აკადემია მდებარეობს. იქ ლურჯ-წითელ სამოსში გამოწყობილი ბავშვები ვარჯიშობდნენ მასთან და კიდევ ერთ სხვა მწვრთნელთან ერთად.

**„არ ვიცი, როგორ ვისწავლე კალათბურთის თამაში, მაგრამ მაშინ უკეთესი არ ვიცოდით. ახლა, როდესაც ვხედავ, რა პირობებში ვარჯიშობენ აქ ბავშვები, ვხვდები, რომ მათ არანაირი გამართლება არ ექნებათ, თუ ცუდად ითამაშებენ. და ეს არა მხოლოდ კალათბურთს ეხება."** — იხსენებს გიორგი.

იგი 16-წლამდე ასაკის ნაკრების ვარსკვლავი იყო, როდესაც დასავლეთ ვირჯინიის, ანუ ეგრეთ წოდებული „მთის შტატის" აკადემიის კალათბურთის სკოლაში ემზადებოდა.

**„პირველი ორი თვის განმავლობაში არც კი ვიცი, როგორ გადავრჩი. ინგლისურად ვერ ვსაუბრობდი, ქართველები არ იყვნენ, ეს პატარა ქალაქი იყო. ყველა კალათბურთს თამაშობდა, პატივს მცემდნენ, რადგან მეც იმავეს ვაკეთებდი".**

გიომ საშუალო სკოლის პროგრამა ტენესის შტატში დაასრულა, მაგრამ მისი ინგლისური მაინც ვერ აკმაყოფილებდა პირველი დივიზიონის მოთხოვნებს. ამიტომ ჯექსონ ტენესიში, „იუნიონ იუნივერსითიში" გადასვლა არჩია. თუმცა, მძიმე ტრავმამ მისი გეგმები არია. შემდეგ მინესოტას უნივერსიტეტში, კრუკსტონში სცადა ბედი.

მალე გააცნობიერა, რომ შეიძლებოდა საკალათბურთო კარიერა ვერ აეწყო: **„უფრო ხშირად დავიწყე მეცადინეობებზე სიარული, საშინაო დავალებების შესრულება, კითხვა და მიმართულება შევიცვალე"**.

სოფლის მეურნეობის ბიზნესის მართვის სპეციალისტის დიპლომი მიიღო. საქართველოში დაბრუნებას და მიწის დამუშავებას აპირებდა. თუმცა, წასვლისას ნიუ-იორკში ჩავიდა და მეგობარს შეხვდა, რომელმაც ის საქართველოს საკონსულოში სტაჟირებით დააინტერესა.

მაგრამ ფულის შოვნაც ხომ საჭირო იყო. **„დავიწყე ბავშვების მომზადება პარკებში. ვიცოდი რამდენიმე ქართული ოჯახი, 5-6 ბავშვი ბენსონჰურტში, კინგზის გზატკეცილის მახლობლად, სადაც საბჭოთა ემიგრანტები სახლობდნენ"**. განცხადება ფეისბუქზე განათავსეს. პირველი სესიისთვის ცხრა ბავშვი მივიდა, შემდეგ — 18. თუმცა, ყველა მათგანი ქართველი არ ყოფილა.

2017 წლის შემოდგომაზე, როცა სიცივის გამო ქუჩაში თამაში შეუძლებელი გახდა, ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დარბაზი იშოვნა.

**„ყოველ კვირას უფრო მეტი ბავშვი მოდიოდა".**

მალევე გიოს კიდევ ერთი მწვრთნელის დაქირავება დასჭირდა და მელვინ მაკკლუენი — „მწვრთნელი მაიკი" — იპოვნა, ვეტერანი ნიუიორკელი კალათბურთელი. ასევე სემ ჰოუელი, მისი მინესოტელი თანაგუნდელი.

ამასობაში გიორგიმ საკონსულოში საშტატო სამუშაო და დიპლომატიური ვიზა მიიღო და 2018 წლის ბოლომდე ორ ფრონტზე იბრძოდა. მერე დატოვა დიპლომატიური სამსახური და „მწვანე ბარათის" განაცხადი შეიტანა. ასევე, ჩართული იყო კალათბურთის აკადემიაში.

მას პატივს სცემდნენ, როგორც მწვრთნელს, თუმცა, ზოგჯერ თვითონ საკუთარ თავს მწვრთნელს არ უწოდებდა, რადგან გამოცდილება ჯერ არ ჰქონდა.

**„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ჩემი მწვრთნელი იყო",** — ამბობს გიო, — **„თქვენ მხოლოდ კალათბურთს არ ასწავლით, თქვენ პრინციპებს და ფასეულობებს ამკვიდრებთ, რომლებიც მთელი სიცოცხლე გრძელდება. თქვენ იცით, როგორ უნდა ასწავლოთ თვითშეფასება და თავდაჯერებულობა".**

მისი ოცნება აკადემიის გახსნაა: **„მსურს, ჩემი საკუთარი ადგილი — კალათბურთის დარბაზი მქონდეს. ინდივიდუალური ვარჯიშისთვის, გვერდით კი ბიბლიოთეკისთვის, სადაც ბავშვებს საშინაო დავალებების მომზადება შეეძლებათ",** — თქვა მან.

ამჟამად ბრუკლინის საკალათბურთო აკადემიაში 6-10 და 11-14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის მომზადება კვირაში 260 დოლარი ღირს. ისინი ასევე საზაფხულო დასასვენებელ ბანაკებსა და ინდივიდუალურ ვარჯიშებსაც გვთავაზობენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# ახალი ფორმატით

**ესპანეთის სუპერთასზე, რომელიც ახალი ფორმატით ჩატარდება, წილისყრა გაიმართა. შედეგად, გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:**

„ვალენსია" — „რეალი" (8 იანვარი),

„ბარსელონა" — „ატლეტიკო" (9 იანვარი).

გამარჯვებულები ფინალში გავლენ, რომელიც 12 იანვარს გაიმართება და ტიტულსაც გაითამაშებენ.

„ბარსელონა" ტურნირში ესპანეთის ჩემპიონის, ხოლო „ვალენსია" ესპანეთის „სამეფო თასის" მფლობელის სტატუსით ითამაშებენ. რაც შეეხება მადრიდულ კლუბებს, ისინი ჩემპიონატში დაკავებული პოზიციების მიხედვით მოხვდნენ ტურნირში.

ესპანეთის სუპერთასი ისტორიაში პირველად მოეწყობა მსგავსი ფორმატით (აქამდე მხოლოდ ჩემპიონი და თასის გამარჯვებული თამაშობდნენ ერთმანეთში) და ტურნირს ასევე პირველად საუდის არაბეთი უმასპინძლებს.

**გიორგი შოთაძე**



# „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ასო-ბგერის გამო

# „ე“ თუ „ო“?



**არავის ეგონოს, ერთი უმნიშვნელო მწერალი ახლა რუსთველოლოგის, უფრო ზუსტად კი ენათმეცნიერის სახელს ვეპოტინებოდე! ამას რა გამაბედვინებს!!! უფრო მეტი — თვით ამ შემთხვევაშიც გამოვდივარ არა როგორც მწერალი, არამედ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი რიგითი ქართველი მკითხველი.**

ჩემი აზრით, პოემის რომელიღაც გადამწერის ან სულაც არამკითხე ინტერპოლატორის მიერ ოდესღაც დაშვებული ენობრივი ლაფსუსი გამოცემიდან გამოცემაში უმტკივნეულოდ მეორდება და მეორდება! ხოლო ჩემი ეს ნასაზრი თუ მცდარი აღმოჩნდება, მაშინ უქმი მოცდენისთვის მკითხველებს წინასწარვე ბოდიშს მოვუხდი, თვალის ამხელებს კი მადლობას შევწირავ.

მაშ, დავიწყოთ!

მკითხველებმა კარგად იციან, რა დაემართება ტარიელს, როცა ნანადირევი დურაჯების გადაცემისას ნესტან-დარეჯანს პირველად დაინახავს.

**დავეცი, დავბნდი, წამიხდა**
**ძალი მხართა და მკლავისა.**

ტარიელი ყველაფერს თანამიმდევრულად იხსენებს.

**სამ დღემდის ვიყავ უსულოდ,**
**ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან.**

შეშფოთებული მეფე-დედოფალი ტარიელს მკურნალებს დაახვევენ, მაგრამ სასურველი შედეგი არა და არ ჩანს! მერე კი აგერ, რა ხდება.

**ზე წამოვჯე. მეფისასა**
**კაცი დია მოვიდოდა.**
**ახარებდეს: „წამოჯდაო“,**
**დედოფალი გამორბოდა;**
**მეფე მორბის თავ-შიშველი,**
**არ იცოდა, რას იქმოდა,**
**იგი ღმერთსა ადიდებდა,**
**სხვა ყველაი უჩუმოდა.**

აქაც ყველაფერი ნათელი და გასაგებია!

ახლა მთელი გულისყურიანობა გამოვიჩინოთ ამ სტროფის გასააზრებლად.

**აქეთ და იქით მომისხდეს,**
**მახვრიტეს სახვრეტელია;**
**მე მოვახსენე: „პატრონო,**
**გული აწ უფრო მრთელია;**
**ცხენსა შეჯდომა მწადიან,**
**ვნახნე წყალნი და ველია.**
**ცხენი მომგვარეს, შე-ცა-ვჯე,**
**მეფე ჩემთანა მვლელია.**

მოყვანილ სტროფში აშკარად შეუსაბამოდ ჟღერს ამ ფორმით ნახმარი სიტყვა — **„ვნახნე“**.

აქ ტარიელი მეფე-დედოფალს, მაგალითად, თავის ნასიზმრს, რაიმე კოშმარულ წამოლანდებას თუ თავგადანახადს წარსული დროით კი არ აუწყებს — **ვნახნე,** ანუ **ვნახე** წყალნი და ველიაო, არამედ ნესტან-დარეჯანის პირველი ხილვით დამეხილი და იმ ქვეყნიდან ისევ ამ ქვეყანას მობრუნებული, მეფე-დედოფალს მხოლოდ თავის **სურვილს** უმხელს: გულგადასაყოლებლად ცხენით გასეირნება მწადიან, რათა **ვნახნო,** ანუ **ვნახო** (და არა ოდესღაც **ვნახნე,** ანუ **ვნახე!)** წყალნი და ველიაო!.. ხოლო აქ ტარიელი მეფე-დედოფალს თუ მართლა უკვე **ნანახზე (ვნახნე)** ელაპარაკება, მაშინ სრულიად გაუგებარი ხდება ამ ფრაზის — **„ცხენსა შეჯდომა მწადიან“** — მიზანი და მოტივი!..

მართლაც, ტარიელს ცხენს მოჰგვრიან, შეჯდება და თან მეფეც აემგზავრება.

მერე კი, როგორც თავის ყველა პერსონაჟს, რუსთაველი ტარიელს ამხელადაც მადლიანი სისადავით ალაპარაკებს.

**გამოვედით, მოვიარეთ**
**მოედანს და წყლისა პირსა.**

დასასრულ, აქ თვით სათხრობი მოითხოვს: 349-ე სტროფში უნდა იყოს არა **„ვნახნე“,** არამედ **„ვნახნო“.**

საინტერესოა, რას იტყვიან პროფესიონალი რუსთველოლოგ-ენათმეცნიერები?

**ჯემალ მეხრიშვილი**

---

* **ხაზგასმა ყველგან ავტორისეულია (რედ.)**

# დააკავეს დედა, რომელიც შვილებს მათხოვრობას აიძულებდა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაციის ფაქტი გამოავლინეს.**

შსს-ს ცნობით, გენერალურ პროკურატურასთან თანამშრომლობით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, დაკავებულია 1984 წელს დაბადებული ი.უ. დანაშაული 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალი არასრულწლოვან შვილებს – 2006 წელს დაბადებულ მ.უ.-ს და 2007 წელს დაბადებულ ნ.უ.-ს უკანონო შრომით ექსპლუატაციას უწევდა.**

**კერძოდ, ი.უ. მათ, ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით, პეკინის გამზირზე მოწყალების შეგროვებას აიძულებდა. იმ შემთხვევაში, თუ მოზარდები საკმარის თანხას არ შეაგროვებდნენ, დედა შვილებს ფიზიკური ანგარიშსწორებით და სექსუალური ძალადობით ემუქრებოდა.**

**სამართალდამცველებმა გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ფარული ვიდეო და აუდიოჩაწერა, ასევე, ფოტოგადაღება და ფარული სატელეფონო მიყურადება, რითაც ბრალდებულის მიერ არასრულწლოვანი შვილების სისტემატური შრომითი ექსპლუატაცია დადასტურდა“,** — აცხადებენ შსს-ში.

**გახსენება**

# მარიამ (მაშო) აფციაური-წიკლაური



**გასული წლის გიორგობისთვეში მიიბარა შენი ნათელი სული მამაზეციერმა, ჩვენი დიდი ოჯახის მზრუნველო და თბილო დედაბოძო.**

**რაც დრო გადის, უფრო და უფრო მტკივნეულად ვგრძნობთ უშენობას, ფრთამოტეხილი დაიარება შენი ივანე, რომელთანაც სკოლის დაწყებითი კლასიდან ჩასახული სიყვარული მრავალი ათეული წელი თანაბრად გაწევინებდათ ოჯახურ ჭაპანს ცხოვრებისეულ ოღროჩოღრო ბილიკზე.**

**ნიშანდობლივია, რომ შენი გარდაცვალების დღე შენივე საყვარელი რძლის — შორენას დაბადების დღესაა დამთხვეული, რომელიც ცხოვრების ბედუკუღმართობის გამო შენ გვერდით განისვენებს.**

**უფლის ცხონება, ნათელი და სანთელი თქვენს ლამაზ სულებს, ამინ!**

**შენი ოჯახი**
12. 11. 2019
ქ. თეთრიწყარო

# ავარიაში დაღუპული 24 წლის შაკო ბარამიძის ოჯახი „გირჩს“ ემიჯნება



**გარდაცვლილი 24 წლის ბიჭის შაკო ბარამიძის ოჯახმა გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ გარდაცვლილის ოჯახის წევრები ემიჯნებიან „გირჩის“ განცხადებას და მადლობას უხდიან მეუფე საბას.**

მათივე ინფორმაციით, პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ სხვადასხვა საინფორმაციო პორტალებზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ოჯახმა დაკრძალვის თარიღი გადადო იმის მოლოდინში, რომ იპოვიდა სხვა მოძღვარს, რომელიც თანხმობას განაცხადებდა მიცვალებულისთვის წესის აგებაზე.

გარდაცვლილი შაკო ბარამიძის ოჯახი კატეგორიულად ემიჯნება პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. დაკრძალვის თარიღი დაიგეგმა მიცვალებულის გარდაცვალების დღეს.

ოჯახი სრულად იზიარებს მართლმადიდებლური დიდი სჯულის კანონის ყველა მოთხოვნას მიცვალებულის წესის აგებასთან დაკავშირებით და აცხადებენ, რომ მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან.

**„გვინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ხონი-სამტრედიის მთავარეპისკოპოსს, მეუფე საბას ოჯახის ტრაგედიის მაქსიმალურად გაზიარებისა და გვერდში დგომისთვის. მიცვალებულის სულისთვის წესის აგების საკითხს განიხილავს წმინდა სინოდი.**

**გვსურს, გამოვთქვათ მკაცრი პროტესტი, ოჯახის უდიდესი ტრაგედიის პირადი პოლიტიკური მიზნებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის გამოყენების მცდელობის გამო.**

**გვსურს, მოვუწოდოთ საქართველოს ახალგაზრდობას, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს „გირჩის“ მიერ დარეგისტრირებულ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხს. არასოდეს გახდეთ მსხვერპლი ბრმა მოწოდებებისა“,** — წერს შორენა ჩახვაძე.

შეგახსენებთ, რომ გუშინ „გირჩმა“ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც ავარიაში გარდაცვლილ 24 წლის შაკო ბარამიძისთვის სამტრედიისა და ხონის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე საბა წესის აგების საშუალებას ოჯახს არ აძლევს, რადგან ის „ბიბლიური თავისუფლების“ წევრი იყო, რომელსაც, სავარაუდოდ, სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით მიმართა.

„პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში საპატრიარქოს პრესმდივანმა ანდრია ჯაღმაიძემ ფაქტი დაადასტურა და განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება ყველა ეპარქიაზე ვრცელდება.

# ქედაში ავტობუსის გადაბრუნების გამო 15 მგზავრი დაშავდა

**როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადეს, 13-მა ადამიანმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო და მათ ქედის კლინიკაში ამბოლატორიული დახმარება ჩაუტარდათ, ხოლო 2 დაშავებული ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში დამატებითი კვლევებისთვის გადაიყვანეს.**

მოქალაქეები ბათუმიდან დაბა ქედისკენ მიდიოდნენ. ავტობუსი გზიდან გადავიდა და ამოყირავდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 -ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

### ◉ პოეტის ერთი ლექსი

# ვერაფერი მიყო მტერმა, ჩემმა სისხლმა დამაქცია...

ველარ ვიგებ, ვინ რას ყბედობს...
ყველგან ჭკუის სიმწირეა,
ვის ხელში ხარ ქვეყნის ბედო —
რა მზაკვრულად გვიცინიან,
სირცხვილია საქართველოვ,
საქართველოვ! — სირცხვილია...
რა ვქნა, როგორ დავემალო
მუხლის მოხრას, ზიზღს და ლაქუცს,
შიშსა ვმალავ,რწმენას ვმალავ,
ვმალავ — რადგან მავანსა სურს,
რა პასუხს სცემ საქართველოვ
სისხლით ნაწერ წმინდა წარსულს.
არავისი აღარ მჯერა,
აღარც სიკვდილს არ მაცლიან,
ვერაფერი მიყო მტერმა —
ჩემმა სისხლმა დამაქცია,
არ გაცლიან საქართველოვ,
წამოდგომას არ გაცლიან...
მთებზე სქელი ჯანღი წვება,
ჯანღში ნათლის სიმცირეა,
შენი დროის დავიწყება,
სირცხვილია, სირცხვილია,
საქართველოვ სირცხვილია...



**ტარიელ ხარხელაური**

### ◉ სულიერება

# წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა



**დღეს, 13 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს 100 000 მოწამეთა ხსენებას.**

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დადგა.

ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი თბილისისაკენ გამოემართა 1225 წელს.

ეს იყო უსაშინლესი სისხლიანი დღე ქართლის ცხოვრებაში. თბილისის ქუჩები და მდინარე მტკვარი გვამებით აივსო, სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ბორცვებად ეყარნენ დახოცილები.

ხვარაზმის სულთანმა სიონიდან მაცხოვრისა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები გამოასვენებინა, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენებინა და უბრძანა თბილისელებს „დათრგუნვა ხატთა“ და „დატევება სჯულისა“, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, „წარკვეთა თავთა ელოდა“.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: **„...100 000 ადამიანი ერთ დღეს ქრისტიანობისთვის წამებული, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა!“**

ყოველი წლის ამ დღეს ქრისტიანები მეტეხის ხიდთან იკრიბებიან, იკითხება სპეციალური ლოცვები, მტკვარში იყრება ათასგვარი ყვავილისგან შეკრული გვირგვინები, ინთება სანთლები მათ მეოხად.

**გიული ლიპარტია**


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**





# აშშ-ის საელჩო ჯვრის მონასტრის საკონსერვაციო სამუშაოების პირველ ფაზას დააფინანსებს

**აშშ-ის საელჩომ საქართველოში გუშინ, 12 ნოემბერს, გამოაცხადა ჯვრის მონასტრის პროექტი 2019 წლის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის კონკურსის გამარჯვებულად.**

პროექტის ფარგლებში 100,000 დოლარი გადაეცემა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრს, რომელიც სხვადასხვა პროფესიონალებისგან შემდგარი ჯგუფის დახმარებით განახორციელებს სამუშაოებს. ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია გვამცნობს.

**„პროექტის საკონსერვაციო ციკლის პირველი ფაზის ფარგლებში ჩატარდება ყოვლისმომცველი კვლევა ფასადის დაზიანებისა და განადგურების დონის დადგენის, კლასიფიკაციისა და შემდგომი გეგმის შემუშავების მიზნით. ძირითადი ტაძარი (ჩვ.წ. 586-605) ჯვრის მონასტრის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული მონუმენტია. ჯვრის მონასტერი მცხეთის ისტორიული მონუმენტების ნაწილია და იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია. აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა მსოფლიოს მასშტაბით 125-ზე მეტ ქვეყანაში, უკვე 1000-ზე მეტი პროექტი დააფინანსა. მისი წვლილი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში დაახლოებით 74 მილიონ დოლარს შეადგენს. საქართველოში ფონდმა 19 პროექტი დააფინანსა, რომელთა ღირებულებაც, დაახლოებით 1.5 მილიონ დოლარს შეადგენს“** - ნათქვამია ინფორმაციაში.

# სხვა ქვეყნებში რელიგიურ უმცირესობებს დაიცავს

**„პოლიტიკოს“ ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სხვა ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფის დროს შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი რელიგიური უმცირესობების დაცვა იქნება.**

როგორც გავლენიანი ამერიკული გამოცემა იუწყება, შესაბამისი პროექტი ჯერ განხილვის ეტაპზეა. თუმცა, თუ მიიღეს, აშშ-ის დახმარების გარეშე ვაშინგტონის ბევრი მოკავშირე დარჩება.

როგორც ვარაუდობენ, ამა თუ იმ სახელმწიფოში რელიგიური უმცირესობების მდგომარეობას ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფისას გაითვალისწინებენ. თუმცა, არ არის გამორიცხული, მომავალში ეს კრიტერიუმი სამხედრო დახმარების გაცემის დროსაც იყოს განმსაზღვრელი.

როგორც „პოლიტიკო“ აღნიშნავს, შესაბამის დადგენილებაზე თეთრი სახლი, სახელმწიფო დეპარტამენტი და ვიცე-პრეზიდენტის აპარატი მუშაობენ.

აღნიშნული ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, აშშ-ის ფინანსური დახმარების მიმღები ქვეყნების ნუსხა შეიცვლება.

ცალკეულ ქვეყნებში რელიგიური უმცირესობებისადმი დამოკიდებულების შესაფასებლად დაგეგმილია საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების კომისიის მიერ შედგენილი ანგარიშის გამოყენება. კომისიის შეფასებით კი, „განსაკუთრებით შემაშფოთებელია სიტუაცია“ მაგალითად ვაშინგტონის მოკავშირე საუდის არაბეთში, ასევე ირანში, ვიეტნამში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ერაყში, ჩინეთში და თურქეთში. შესაბამისად, ამ ქვეყნებმა შესაძლოა, ვერ მიიღონ აშშ-ის დახმარება. როგორც „პოლიტიკო“ აღნიშნავს, დადგენილების პროექტს აშშ-ის პრეზიდენტი ჯერ არ გაცნობია.





საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



## ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908


სრ

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.9633; ევრო - 3.2697;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7957;
100 რუბლი - 4.6355; თურქული ლირა - 0.5130;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7430;
1000 სომხური დრამი - 6.2163

### ამინდი 13 ნოემბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +18 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე | +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე | +23 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე | +19 |


### დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge